# სარბიელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 8 დეკემბერი 2004 №285 (2306) ფასი 50 თეთრი

## გააზნაურებული მაურინიუ წინა ცხოვრების ჟოზესთან დამარცხდა

მტერს და ავსო, რომ იტყვიან, ზუსტად ის იყო: მოსკოვის ცსკამ პარიზში დაჩენჩილი „პარი სენჟერმენი“ სერგეი სემაკის სამი გოლით კი გაასამტვერა, მაგრამ ვაი იმ ყოფას, მოსკოველები რომ ჩაცვივდნენ — პორტუში ჟოზე მაურინიუს ყოფილმა გუნდმა, „პორტუმ“, ახალ გუნდს, „ჩელსის“ მოუგო და შეჯიბრების მეორე ეტაპზე თვითონ გავიდა. თან, როგორ იყო, იცით? მაურინიუს აჩრდილმა ხორციელი მაურინიუ ტრილერის კანონების სრული დაცვით დაამარცხა




UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

## რუსების ვერაც რიჟა იყო და ნადეჟდაც



„არსენალი“ — „რუსენბორგი“ 5:1. ტიერი ანრიმ ერთი იკმარა

## ჩემპიონთა ლიგის უკვე მერვედფინალისტები

არსენალი, პსვ ეინდჰოვენი, მილანი, ბარსელონა, ინტერი, ვერდერი, ჩელსი, პორტუ, იუვენტუსი, ბაიერნი, მანჩესტერი, ლიონი



„ვალენსია“ — „ვერდერი“ 0:2. ფეხების ქნევა ხელების ქნევით დასრულდა

# პროფლიგა: დავიცვათ ახალდაქმოზილებული...
## ნუ იყვირებთ, ფირს ჩაუსხდით

*თბილისის „დინამოს“ მდგომარეობა იმ გლეხისას გვაგონებს, მოქუფრულ ცას რომ შეჰყურებს და სეტყვის მოლოდინში ღმერთს მოსავლის გადარჩენას სთხოვს. რა განსხვავებაა, გლეხის ბედი ბუნების ხელშია, „დინამოსი“ კი უეფას ხელში. ბერძნულ „პანიონიოსთან“ საუეფასთასო სკანდალს უეფა რომ გამოუძიებლად არ დატოვებდა, ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა...*



კაცმა არ იცის, რა ბედი ელის ქართული ფეხბურთის რეპუტაციაშელახულ ფლაგმანს, მაგრამ ამ რთულ ყოფაში დინამოელებს მხარდამჭერები გამოუჩნდნენ... ოღონდ ვერც იმას ვიტყვით, რომ მათი სოლიდარობა უეფას აღზანზარებს და გადაწყვეტილებას შეაცვლევინებს.

დავაკონკრეტოთ: გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენცია გაიმართა, სადაც ჩვენი ჩემპიონატის ათივე უმაღლესლიგელმა კლუბმა (ასევე რამდენიმე პირველლიგელმაც) გადაწყვიტა, „დინამოს“ მხარდასაჭერი წერილი მოამზადონ და უეფას გაუგზავნონ.

პროფლიგაც და კლუბებიც დარწმუნებულები არიან „დინამოს“ უმწიკვლობაში და ღმერთმა ქნას, რწმენა ბოლომდე გაჰყოლოდეთ...

რა თქმა უნდა, პროფლიგის კონფერენცია მხოლოდ „დინამოს“ მხარდასაჭერად არ გამართულა, თუმც კლუბის სახელმა კიდევ ერთხელ გაიჟღერა: კერძოდ, დინამოელები პროფლიგაში გაწევრიანდნენ და ეს ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდა. ესეც ერთგვარი სოლიდარობის ნიშანი...

ბუნებრივია, კონფერენციის წამყვანებმა, პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა და გენერალურმა მდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ, საქართველოს ჩემპიონატის განვლილი პირველ-მეორე წრეები შეაფასეს...

— ჩემი აზრით, მიმდინარე ჩემპიონატი წინანდელებზე ორგანიზებულად ტარდება. იმის ილუზია არ გვაქვს, თითქოს ყველაფერი კარგად არის და ევროპის წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებს მივუახლოვდით. საკეთებელი ძალიან ბევრია: ჩვენი სტადიონების მდგომარეობა და მინდვრების საფარი, რომლებიც უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. კლუბების ფინანსური გაჭირვება ცალკე თემაა — პროფლიგა სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ ყველა კლუბს შეძლებისდაგვარად მოუგვაროს პრობლემები, მაგრამ თუ ისინი უსაშველოა, მარტო ჩვენ ვერაფერს გავხდებით. სწორედ ამ საკითხებზე 15-20 დეკემბერს მთავრობის წარმომადგენლებთან ვაპირებთ შეხვედრას. მათ უნდა ავუხსნათ კლუბების გასაჭირი და იმედია, ისინიც ყველაფერს იღონებენ — განაცხადა დიმიტრი რამიშვილმა. პროფლიგის პრეზიდენტს ჯერ არ გადაუწყვეტია, ხელისუფლების რომელ წევრებს შეხვდეს, მაგრამ, მისივე თქმით, ეს საუბრები ფუჭად არ ჩაივლის.

ჟურნალისტებთან შეხვედრამდე პროფლიგის ხელმძღვანელობა უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა კლუბის წარმომადგენლებს ესაუბრა, გუშინვე შეიქმნა პროფლიგის გამგეობა, რომელშიც ხუთი კაცი შეირჩა: „დინამოს“ ტექნიკური დირექტორი კახა ჭუმბურიძე, „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტი ასტამურ აჩბა, „ლოკომოტივის“ გენერალური დირექტორი ლევან ყიფიანი, „ვიტ ჯორჯიას“ გენერალური მდივანი მალხაზ კაკაურიძე და თავად დიმიტრი რამიშვილი. ამ ხუთეულის შერჩევისას გაითვალისწინეს გეოგრაფიული მომენტიც. კერძოდ, ერთი წევრი აუცილებლად დასავლეთ საქართველოს კლუბის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო და ასტამურ აჩბაც საუკეთესო ვარიანტი ყოფილა — იგი უმეტესად თბილისში ცხოვრობს და გამგეობის ნაუცბათევად შეკრების შემთხვევაში ჩამოსვლის პრობლემა არ შეექმნება.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველ-მეორე წრეების განხილვისას მსაჯობის გარშემო ატეხილ მუდმივ რია-რიასაც გაესვა ხაზი და გამოსავალიც მოინახა. კლუბის ნებისმიერმა წევრმა მსაჯებზე პრეტენზია საჯაროდ კი არ უნდა გაახმაუროს, არამედ პროფლიგას უნდა მიმართოს საჩივრით, პროფლიგის კომისია კი მომჩივანსაც და ბრალდებულ მსაჯსაც ერთად დასვამს, ვიდეოფირს ჩართავს და „შავ-თეთრსაც“ ასე გაარკვევს — თუ საჩივარი დამტკიცდა, მსაჯი დაისჯება, თუ არა, მომჩივანი... დიმიტრი რამიშვილმა განაცხადა, ეს პუნქტი იმიტომ შევიტანეთ, რომ რამდენჯერმე მწვრთნელი თუ ფეხბურთელი მსაჯს უჩიოდა, ვიდეოფირზე კი ამის მსგავსი ვერაფერი ვნახეთო...

**ილია ნანობაშვილი**

*საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ირაკლი ვაშაკიძის „არისმა“, როგორც იქნა, პირველი მატჩი მოიგო – შინ „აპოლონი“ 1:0 დაამარცხა. ვაშაკიძე ამ შეხვედრაში არ უთამაშია; ის მხოლოდ სამ მატჩში გამოჩნდა „არისის“ თერთმეტეულში. ვაშაკიძეს გუშინ დავურეკეთ საბერძნეთში და „პანიონიოს“ – „დინამოს“ ამბებიც გამოვკითხეთ...*

# საბერძნეთიდან დანახული პანიონიოსი — დინამო
## ფული ბერძნებმაც ვერ აიღეს

— შენი უთამაშებლობის მიზეზი რა არის?

— ხან ტრავმა, ხან კი საქმე ვერ ამეწყო ისე, როგორც სასურველი იყო. ახლაც ტრავმირებული ვარ, წვივის კუნთი ისე დამეჭიმა, კიდევ სამი დღე მომიწევს დასვენება, აღდგენით მასაჟებს ვიკეთებ და ალბათ მალე გამოვჯანმრთელდები.

— „არისმა“ პირველი გამარჯვება იზეიმა...

— კლუბში ამით ძალიან გახარებულები არიან, იქნებ ეს უკეთესობის საწინდარი იყოსო.

— „პანიონიოს“ — „დინამოს“ ალბათ უყურე...

— მატჩი ტელევიზიით ვნახე, რადგან სალონიკიდან ათენამდე საკმაოდ შორია.

— ამ მატჩის გარშემო რაც ხდება, შენც გეცოდინება — მანდაური სიტუაცია როგორია?

— პრობლემები ბერძნულ საბუქმეიკერო ოფისებშიც შეიქმნა — ზოგიერთმა მეფსონემ მოასწრო ფულის აღება, ზოგმაც ვერა. როგორც გავიგე, აქაური ტოტალიზატორებიც ჩივიან უეფაში.

— თამაშს ტელევიზორით უყურე და რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

— ისეთი არაფერი ყოფილა, რომ ვთქვა, თამაში ნამდვილად ჩაწყობილი იყო-მეთქი. ისეთი თამაში იყო, ვინმეს რამეში ბრალი რომ დასდო, ძალიან ძნელია. საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა და „პანიონიოსმა“ ისინი უფრო კარგად გამოიყენა — ამით ძალიან ძნელია იმის მტკიცება, რომ მატჩი ჩაწყობილი იყო.

— მანდ რას ამბობენ, „პანიონიოსი“ ადრე ხომ არ ყოფილა მხილებული ჩაწყობილ თამაშებში?

— „პანიონიოსს“ საბერძნეთში შელახული რეპუტაცია ნამდვილად არ აქვს, საბერძნეთის ჩემპიონატშიც არ ხდება ჩაწყობები, ერთი ეგაა, რომ სეზონის ბოლოს გუნდები სხვა გუნდებს პრემიებს სთავაზობენ, კონკურენტებს ქულები რომ დააკარგვინონ.

**დავით თავართქილაძე**



# ჩაწყობილი არა, ალბათ ყისმათი იყო
## ვინც ამტკიცებდა, დინამომ ჩააწყოო, იმან ამოაწყო

გრემ შარპი ინგლისელი კაცია, საქვეყნოდ ცნობილი ტოტალიზატორის „უილიამ ჰილის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი.

„როიტერი“ ასევე საქვეყნოდ განთქმული და ავტორიტეტული საინფორმაციო სააგენტოა.

3 დეკემბერს სწორედ ამ სააგენტომ სწორედ ამ კაცის ნათქვამი ასეთი სიტყვები გაავრცელა: „დარწმუნებული ვარ, „პანიონიოს“ — „დინამოს“ უეფას თასის მატჩის შედეგი წინასწარ გარიგებული იყო.“

რა თქმა უნდა, საინტერესო განცხადებაა და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, ჰოდა, ისიც ცხადია, ამ კაცთან გასაუბრების სურვილი რომ გაგვიჩნდა. გრემ შარპს გუშინ დავუკავშირდით და ზემორე სიტყვების განმარტება ვთხოვეთ. პასუხად მივიღეთ: „ასე არ მითქვამს, ვთქვი, რომ მწამს, საქმე ყისმათთან გვაქვს. თუ თამაში გარიგებული იყო, მაშინ ეს სულ სხვა შემთხვევაა, რომელიც ფეხბურთის ჩინოსნებმა უნდა გამოიძიონ. არ ვიცი, შედეგი წინასწარ მოლაპარაკებული იყო თუ ტოტალიზატორში საკმაოდ ბევრ მოთამაშეს გაუმართლა და წინასწარმეტყველური შთაგონება ჰქონდა“.

ბუქმეიკერის ეს განცხადება, დაგვეთანხმებით, თავდაპირველზე გაცილებით დიპლომატიური და ბევრად უფრო ფრთხილია, თუმც ფაქტი, რომ „პანიონიოს“ — „დინამოს“ მატჩზე დიდი და უცნაური ფსონები დაიდო, შარპმა კვლავაც დაადასტურა.

„პანიონიოს“ — „დინამოსთან“ დაკავშირებით სხვა ახალი არაფერია.

**კობა ინასარიძე**

ფეხბურთი
ფკ ამერის სკოლა
საქართველოს თასი
9 დეკემბერი
1/4 ფინალის საპასუხო მატჩი
ამერი — ვიტ ჯორჯია
თბილისი თბილისი
დასაწყისი 13 საათზე.
დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www. fcameri.ge

# მართალი ხარ, მაგრამ... არა ხარ მართალი

## შეიგნეთ, ეს ჩემი კი არა, საქართველოს ნაკრებია...



*საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს გაისის ოქტომბრამდე უქმად ყოფნა მოუწევს. გეხსომებათ, ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭებმა წლევანდელ ევროშესარჩევში სლოვაკეთ-მალტა-ლიტვის კომპანიაში მესამე ადგილზე გასვლა „მოახერხეს“. აბა, ბრჭყალებში როგორ არ დავწეროთ, როცა ბოლო ტურში ჩვენებს ცეროდენა მალტის დამარცხება სჭირდებოდათ მეორე ეტაპზე გასასვლელად და ოდენ ფრე გაახერხეს.*
*2006 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კი ქართველ 19-წლამდელებს სლოვენია, ლიტვა და ესტონეთი ჰყავთ მეტოქეებად. ამ ოთხეულიდან შემდეგ ეტაპზე ორი საუკეთესო გავა, სულ 28 გუნდი მოგროვდება, რომლებიც იმ შვიდს გაარკვევენ, ფინალური ეტაპის მასპინძელ პოლონეთს რომ უნდა შეუერთდეს.*
*შანსებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევი და უადგილოა, ამიტომაც ვახტანგ კოპალეიშვილი 19-წლამდელთა ნაკრების თავს დაზვავებულ პრობლემებზე გვესაუბრა...*

— წინა შესარჩევი ციკლი ჩააგდეთ, რის გამოც თქვენს შეცვლაზეც იყო ლაპარაკი...

— არ ვიცი, ფედერაციას ეს საკითხი ჯერ არ განუხილავს. ჩემი აზრით, მარცხის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ: ნორმალურად ვერ მოვემზადეთ და რაც მთავარია, ლამის ნახევარი შემადგენლობით ვითამაშეთ. როგორც იცით, თბილისის „დინამომ“ კანკავა არ გამოუშვა, რომელიც ორმაგად გააძლიერებდა ჩვენს ნაკრებს. რამდენიმე ფეხბურთელი კი დაგვემტვრა. ნახევარდაცვაში ხუთი წამყვანი კაცი არ გვყავდა. კი, ბატონო, მაინც უნდა გავსულიყავით მეორე ადგილზე, მაგრამ ეს პრობლემები პირველ და მეორე თამაშებს თუ არა, მესამეს მაინც დაეტყობა.

— ფეხბურთელი რომ არ გამოუშვეს, „დინამოს“ ხელმძღვანელებს ემდუროდით. მაინც რაში ხედავთ გამოსავალს, ასეთი რამ ხომ შეიძლება გაისადაც გამეორდეს?

— ეს საკითხი ფედერაციამაც უნდა მოაგვაროს. არ შეიძლება, კლუბი თვითნებურად აკავებდეს ფეხბურთელს. როგორ გამოუშვა „ბათუმმა“ ჭელიძე? განა მათ არ სჭირდებოდათ ეს ფეხბურთელი? ბათუმელებმა გაითვალისწინეს, რომ ჭელიძეს ქვეყნის ღირსება უნდა დაეცვა. სხვა გუნდებმაც არ დაგვამალეს მოთამაშეები, „დინამო“ კი... არ ვიცი, ასე რატომ მოიქცნენ.

— თუ იურიდიული უფლება ჰქონდათ, მაშინ ვერ გაამტყუნებთ. კანკავა ხომ „დინამოსთვისაც“ დიდი ძალაა...

— უეფას დადგენილების მიხედვით, ნაკრებს თამაშამდე 4 დღით ადრე შეუძლია ფეხბურთელის გამოძახება და თუ კლუბი წინააღმდეგი წავიდა, ჯარიმა არ ასცდება, თუმც ეს წესი 19 და 17-წლამდელთა ნაკრებზე არ ვრცელდება. ასე რომ, „დინამო“ იურიდიულად არ ტყუის, მაგრამ პატრიოტიზმის მომენტიც ხომ უნდა არსებობდეს. ეს ხომ მომავლის გუნდია. მალხაზ ასათიანი, ოთარ ხიზანეიშვილი და გია იმედაძე ამ ნაკრებიდან არ მოხვდნენ ეროვნულში? საძირკველს თუ არ ჩადგამ, სახლს როგორ ააშენებ... ამიტომაც, იმედია, ფედერაცია რაღაცას იღონებს და კლუბებს მიმართავს, რომ ნაკრებში ფეხბურთელის არგაშვება აღარ გამეორდეს.

— 2006 წლის ევროშესარჩევი გაისად, ოქტომბერში დაგეწყებათ. წლევანდელ ციკლში ნათამაშები ფეხბურთელები თუ გეყოლებათ?

— კი, წლეულს 1987-იანებიც გვყავდა გუნდში. თუნდაც ქუთაისელი რევიშვილი და დინამოელი მახარაძე. ერთი წლით უმცროსებიც ნიჭიერი ბიჭები არიან...

— ხომ არ გარკვეულა, ჩვენი ჯგუფის მატჩები სად ჩატარდება?

— ალბათ ლიტვაში. ყოველ შემთხვევაში, კენჭისყრის შემდეგ მათ გამოთქვეს მასპინძლობის სურვილი.

— ესტონეთი, ლიტვა, სლოვენია — ერთი შეხედვით, იოლ ჯგუფში მოხვდით...

— ვნახოთ. ისე, 17-წლამდელებს უფრო ძლიერი მეტოქეები შეხვდათ, მაგრამ ქართველი ჭაბუკების მენტალიტეტი ისეთია, პატარებში უფრო ადვილია წარმატების მიღწევა. ჩვენთან ზრდა სწრაფი ტემპით რომ ვერ მიდის, ეს კარგა ხნის პრობლემაა. ჩვენ კი აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ორ საუკეთესოში. ეს რეალურზე რეალურია, მაგრამ ვიმეორებ — ამისთვის გაგება და თანადგომაა საჭირო. ყველა უნდა მიხვდეს, რომ ეს კოპალეიშვილის ნაკრები კი არა, საქართველოს ნაკრებია.

**ილია ნანოგაშვილი**

# კარლოს და როჩა: ჩემი შანსი დივოკაა

## არც ფული მაქვს და არც ფურცელი

*ექსდინამოელი ბრაზილიელი კარლოს და როჩა „დინამოდან“ წინა სეზონის ბოლოს დაითხოვეს, მაგრამ კონტრაქტით კარლოსს „დინამოში“ 2005 წლის ივნისამდე უნდა ეთამაშა. ადრეც გაუწყეთ, რომ კარლოსი კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას ითხოვდა „დინამოსგან“, გუშინ კი მას ერთხელაც შევეხმიანეთ ბრაზილიაში...*

— ახალი არაფერია, ფული ჯერ არ ამიღია და „დინამოში“ აღარც ვრეკავ, რადგან ამას აზრი არ აქვს — რამდენჯერაც დავრეკე, არავინ დამელაპარაკა.

— რა უნდა ქნა, რას აპირებ?

— ახლა სან პაულუში ვარ და ფულის მისაღებად ჯერ ვერაფერს ვაკეთებ, რადგან მარტო ვარ. ის თურქი აგენტი, რომლის დახმარებითაც „დინამოსთან“ გავაფორმე კონტრაქტი, ჩემი აგენტი აღარაა.

— ახალი კლუბი ჯერ არ მოგიძებნია?

— არა, სატრანსფერო ფურცელიც არ მაქვს, „დინამოს“ ესეც არ მოუცია.

— და ელოდები, რომ „დინამო“ თვითონ მოგცემს ფურცელსაც და ფულსაც?

— ბრაზილიელ ფიფას აგენტ დივოკასთან დავიჭირე საქმე. ის ევროპიდან ახლახან დაბრუნდა და ამ დღეებში შევხვდები. მას „დინამოსთან“ კონტრაქტი უნდა ვაჩვენო და ამის მერე მეტყვის, როგორ მოვიქცე. მე არავისთან დაპირისპირებას არ ვაპირებ, მხოლოდ ის მინდა, ჩემი ფული ავიღო და ფეხბურთი ვითამაშო.

**დავით თავართქილაძე**



# 33-ა სათიანი

**საბჭოთა კავშირის** ჩემპიონატების დასრულებისთანავე, წესად იყო, 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია ქვეყნდებოდა და იქ მოხვედრა საკმაოდ პრესტიჟულადაც ითვლებოდა.

ახლა სხვა დროა, მაგრამ რუსებმა ტრადიციის შენარჩუნება გადაწყვიტეს და აგერ, ამ სეზონის 33 საუკეთესო შეარჩიეს. შეგახსენებთ, თითოეულ პოზიციაზე სამსამი ფეხბურთელი სახელდება.

წლევანდელ 33-ეულში ერთადერთი ქართველია, მალხაზ ასათიანი. მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი თავის ამპლუაში მესამეზე გავიდა არმიელი იგნაშევიჩისა და ტორპედოელი ბუგაევის შემდეგ.

არადა, რუსმა ჟურნალისტებმა ასათიანი წლის საუკეთესო მცველად დაასახელეს. ჟურნალისტების შეფასებით, ჩვენებურმა მნიშვნელოვნად გაუსწრო კონკურენტებს.

რუსეთის პროფლიგამ ეს სია კი გამოაქვეყნა, მაგრამ იქვე დასძინა, შესაძლოა, ცვლილებები კიდევ მოხდესო. თუმც ეს უკვე ნაკლებმნიშვნელოვანი ამბავია ჩვენთვის.



# არველაძე ალბათ შაბათს დაბრუნდება

**25 ნოემბერს** უეფას თასის მატჩში ავსტრიულ „გრაცერთან“ შოთა არველაძემ რომ ითამაშა და გოლი გაიტანა, მას შემდეგ მინდორზე აღარ გასულა — არველაძეს მტკივანი საზარდული გაუმიზეზდა და ფეხის ზედა კუნთიც დაეჭიმა.

„გრაცერის“ შემდეგ რამდენიმე დღე შოთა არ ვარჯიშობდა, ინდივიდუალურად ვარჯიში ახლახან დაიწყო და გუშინ იმ რეინჯერსელებთან ივარჯიშა, ტრავმათა გამო ჯერ გუნდთან ერთად რომ ვერ ვარჯიშობენ.

მოკლედ, არველაძე გამოკეთდა და 11 დეკემბერს შოტლანდიური პრემიერლიგის მატჩში, „რეინჯერსი“ — „დანდი“, შესაძლოა, შეცვლაზე ითამაშოს.

**დავით თავართქილაძე**

# ჯაკობიამ შვებულება ნაადრევად აიღო

**ხარკოვის** „მეტალისტის“ და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია ტრავმირებულია.

ფეხმტკივანი ჩვენებური ბოლო სამი ტურია, „მეტალისტს“ ვერ ეხმარება და უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრეც ნაადრევად დაასრულა.

— ჯაკობია ტრავმის გამო ვერ თამაშობს, თუმც იმედი მაქვს, ის მალე გამოჯანმრთელდება — განაცხადა ხარკოველთა თავკაცმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა გენადი ლიტოვჩენკომ.

უკრაინული ვებ-გვერდების ცნობით, ლაშა რამდენიმე დღეში კი განაახლებს ვარჯიშს, თუმც წლეულს თამაში აღარ მოუწევს — მალე ხომ ზამთრის არდადეგები იწყება და შვებულება ერგება.

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს 16 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
**მიმოხილვა**

პროფლიგამ პრინციპულობა გამოიჩინა და ორი გუნდი უმაღლეს ლიგაში არ დაუშვა — „ქობულეთი“ და „რუსთავი“ — მათ არც ფული გააჩნდათ და არც ინფრასტრუქტურა — ასეთი იყო პროფლიგის განმარტება.

მაგრამ განა ათივე გუნდს აქვს ახლა ფული? „დილას“ განსაკუთრებულად უჭირს და ბოლო ადგილზეც ამიტომაა, „სიონს“ პროფლიგის ერთ-ერთი სპონსორის, „საქართველოს ბანკის“ კრედიტმა უწია და ჯერჯერობით ასე გააქვს თავი.

ერთი სიტყვით, ათ გუნდამდე დაპატარავებულ ჩემპიონატს პრობლემები მაინც აქვს და, რაც ყველაზე ცუდია, სტადიონებზე მაყურებელმა იკლო.

მაგრამ ინტრიგა და დაძაბულობა მეთექვსმეტე ეროვნულს არ დაეწუნება. გამოიკვეთა ხუთი გუნდი, დაახლოებით თანაბარი ძალის რომ არიან და ნებისმიერ მათგანს შესწევს ძალა ჩემპიონობისთვის საბრძოლველად.

და რაც ყველაზე კარგია, ჩვენს ჩემპიონატში რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა — რაც უნდა ფულიანი სპონსორები იშოვოს პროფლიგამ, საქართველო კიდევ კარგა ხანი იქნება სხვათათვის ფეხბურთელთა მიმწოდებელი ქვეყანა...

# ანტრაქტი
## კონტრაქტებისთვის



დინამო და ტორპედო: ცხრილის თავში ბოლოს მაინც დინამო დაჯდა

### თბილისი

გოლი: 38
საშუალოდ მატჩში: 2,11 გოლი
ბომბარდირი:
დავით ოდიკაძე (10)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გოჩა ხოჯავა

სად თამაშობს ყველაზე მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი? ამით ყველაზე უფრო „თბილისი“ მოიწონებს თავს, რომელსაც ჩემპიონატის დაწყებიდან ოთხი ტურის შემდეგ „დინამოსგან“ იჯარით აყვანილი ზანდრო იაშვილიც შეემატა. ამ 19 წლის ფორვარდს „თბილისის“ მწვრთნელ გიორგი დევდარიანთანაც შეექმნა პრობლემები, მაგრამ იაშვილი „თბილისიდან“ არ გაუშვიათ და ზანდრომაც რამდენიმე მატჩი ძალიან ძლიერად ითამაშა — „თბილისისთვისაც“ მესამე ადგილზე უფრო მნიშვნელოვანი ალბათ ის უნდა იყოს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა ჰყავს — გოჩა ხოჯავა, გოგიტა გოგუა, რევაზ გეწაძე, გიორგი ჭელიძე, ზაალ ელიავა...

მეთორმეტე ტურიდან კი „თბილისში“ მწვრთნელი შეიცვალა — გიორგი დევდარიანის ნაცვლად პერუელი ლუის ცაკარიასი მივიდა, ვისაც ადრე თბილისის „ლოკომოტივი“ გაუწვრთნია, ხოლო დევდარიანი თებერვლიდან სამწვრთნელო საქმის შესწავლას შეუდგება გერმანიაში.

„თბილისმა“ ყველაზე ხმაურიანი და კალორიული გამარჯვება სწორედ დევდარიანის ხელში მოიპოვა — მეთორმეტე ტურში „დინამოს“ 5:0 მოუგო — ეს ყველაზე დიდანგარიშიანი მარცხი იყო „დინამოსთვის“ საქართველოს ჩემპიონატში.

### დინამო
თბილისი

გოლი: 40
საშუალოდ მატჩში: 2,22 გოლი
ბომბარდირი:
ლევან მელქაძე (12)
საუკეთესო ფეხბურთელი:
ლევან მელქაძე

უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თამაშმა „დინამოს“ დიდი ენერგია წაართვა და მწვრთნელი გია გეგუჩაძე თამაშიდან თამაშამდე იძულებით ცვლიდა შემადგენლობას. ისე გამოვიდა, რომ თბილისელებმა ოპტიმალური შემადგენლობით ერთი-ორი მატჩი თუ ითამაშეს. მაგალითად, „ვისლასთან“ დამარცხების შემდეგ „დინამომ“ ბათუმში ფაქტობრივად სათადარიგოებით ითამაშა და შედეგად 0:3 მიიღო.

მერე, ოქტომბერში, „დინამომ“ „სოშოსთან“ რომ წააგო, სამ დღეში „თბილისთან“ შეირცხვინა თავი — 0:5. ნიუკასლში მარცხს კი „დინამომ“ ფოთში, „კოლხეთთან“ ფრე მიაყოლა. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ თბილისის „დინამოს“ უეფას თასზე და ჩემპიონატში ერთი ძალით თამაში გაუჭირდა, ფეხბურთელები ძალების აღდგენას ვერ ასწრებდნენ, რასაც ქულების განიავება და არცთუ შთამბეჭდავი თამაში მოჰყვა. მეორე ეტაპზე „დინამოს“ უეფას თასზე სათამაშო აღარ ექნება, თუმც ჩემპიონატის პარალელურად თასზე მოუწევს ძალების ხარჯვა.

### ტორპედო
ქუთაისი

გოლი: 32
საშუალოდ მატჩში: 1,7 გოლი
ბომბარდირი:
გია მეგრელაძე (12)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გია მეგრელაძე



გია გეგუჩაძე და ოთარ გაბელია: ერთი ამდენი კიდევ წინაა

სეზონის სიურპრიზი? არა, „ტორპედო“ ალბათ მეტსაც იმსახურებს. სეზონის წინ შეკრებაგაუვლელ და მოუმზადებელ გუნდზე ვერავინ იტყოდა, ჩემპიონატს ულიდერებსო. ამის თავად ტორპედოელებსაც არ სჯეროდათ და, მგონი, დღემდე არ სჯერათ.

„ტორპედომ“ თამაშ-თამაშ აკრიფა ფორმა და ბარე ორს აკბენინა თითზე. საინტერესო ისაა, შეძლებს თუ არა გუნდის ხელმძღვანელობა ბირთვის შენარჩუნებას და გაძლიერებას. ამბობენ, დაპირებები არისო, მაგრამ ეს ქართული ფეხბურთისთვის ახალი ხილი არაა — დაპირებები ადრეც თავსაყრელად იყო ხოლმე.

ერთი კი ფაქტია, „ტორპედოში“ ახლა ფული რომ იყოს, გუნდის ოდინდელი ლიდერი ზურაბ იონანიძე „ზესტაფონში“ არ გადავიდოდა, მით უმეტეს, ამ ტრანსფერამდე „იონა“ სწორედ მშობლიურ გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. აქ ერთი კაცის გადაბირებაზე ან არგადაბირებაზე როდია ლაპარაკი, უბრალოდ, „ტორპედოს“ დღეს არ შეუძლია, ფეხბურთელს ხეირიანი პირობები შეუქმნას.

და რა ქნას ასეთ დროს ოთარ გაბელიამ? მწვრთნელი წამდაუწუმ გაიძახის, მოკლე სკამი გვაქვს და ფეხბურთელები მჭირდებაო. ეს პრობლემა ტურიდან ტურამდე იგრძნობოდა და კარგი იქნება, გუნდი თუ არ დაიშალება და მეორე ეტაპზე უკეთეს „ტორპედოს“ ვნახავთ. ჩვენი რჩევაც ეს არის: ნუ დაკმაყოფილდებით საპირველეტაპო ქულებით!

### ვიტ ჯორჯია
თბილისი

გოლი: 30
საშუალოდ მატჩში: 1,6 გოლი
ბომბარდირი:
ერეკლე მერებაშვილი (8)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გიორგი ადამია

მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის ჩემპიონი მეთექვსმეტეში ჩემპიონურად ვერ თამაშობს. ამ სეზონის დასაწყისში „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი ჯერ მერაბ კოჭლაშვილი იყო, მერე ის ვლადიმერ ხაჩიძემ შეცვალა, ახლა კი კვლავ კოჭლაშვილია პირველი მწვრთნელი — „ვიტ ჯორჯიაში“ რაღაც აბდაუბდები ხდება და ყველაფერი ამის ბრალი უნდა იყოს, თუმც გუნდს თავისი სახე და ხელწერა ჯერ არ დაუკარგავს.

ჩემპიონი ახლა მეოთხე ადგილზე რომაა, დიდი დოზანა როდია, მაგრამ ვიტელთა ახალგაზრდა ფეხბურთელებს წინსვლა არ ეტყობათ — ესაა ახლა ამ გუნდის უდიდესი ნაკლი. ყველაფერი მაინც ფინანსებთან მიდის — „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონი რომ გახდა, მეტი ფულადი ინიექციაც დასჭირდა, მაგრამ კლუბმა ეს ვერ მოახერხა.

გიორგი ადამია, ოთარ მარცვალაძე, დავით დიღმელაშვილი, პავლე დათუნაიშვილი — კარგი მონაცემების ახალგაზრდები „ვიტ ჯორჯიაში“ კიდევ არიან, მაგრამ არის კი „ვიტ ჯორჯია“ მათთვის საპროგრესო კლუბი?...

| საბოლოო ცხრილი | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 18 | 12 | 3 | 3 | 40:19 | 21 | 39 | 9 | 7 | 1 | 1 | 24:5 | 19 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 16:14 | 2 | 17 |
| 2 | ტორპედო | 18 | 11 | 6 | 1 | 32:11 | 21 | 39 | 9 | 5 | 4 | 0 | 20:6 | 14 | 19 | 9 | 6 | 2 | 1 | 12:5 | 7 | 20 |
| 3 | თბილისი | 18 | 10 | 4 | 4 | 38:22 | 16 | 34 | 9 | 7 | 1 | 1 | 24:7 | 17 | 22 | 9 | 3 | 3 | 3 | 14:15 | -1 | 12 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 18 | 8 | 4 | 6 | 30:25 | 5 | 28 | 9 | 5 | 1 | 3 | 16:12 | 4 | 16 | 9 | 3 | 3 | 3 | 14:13 | 1 | 12 |
| 5 | ლოკომოტივი | 18 | 7 | 7 | 4 | 25:16 | 9 | 28 | 9 | 5 | 2 | 2 | 16:9 | 7 | 17 | 9 | 2 | 5 | 2 | 9:7 | 2 | 11 |
| 6 | ბათუმი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:16 | 6 | 23 | 9 | 4 | 4 | 1 | 15:4 | 11 | 16 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:12 | -5 | 7 |
| 7 | ზესტაფონი | 18 | 6 | 1 | 11 | 16:36 | -20 | 19 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:14 | -2 | 13 | 9 | 2 | 0 | 7 | 4:22 | -18 | 6 |
| 8 | კოლხეთი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:23 | -6 | 19 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:5 | 7 | 13 | 9 | 1 | 3 | 5 | 5:18 | -13 | 6 |
| 9 | სიონი | 18 | 4 | 2 | 12 | 15:42 | -27 | 14 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:13 | -1 | 14 | 9 | 0 | 0 | 9 | 3:29 | -26 | 0 |
| 10 | დილა | 18 | 2 | 2 | 14 | 13:38 | -25 | 8 | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 8 | 9 | 0 | 0 | 9 | 5:25 | -20 | 0 |

## ლოკომოტივი
თბილისი

გოლი: 25
საშუალოდ მატჩში: 1,38 გოლი
ბომბარდირი:
მიხეილ ბობოხიძე (10)
საუკეთესო ფეხბურთელი:
მიხეილ ბობოხიძე

ზაურ სვანაძის „ლოკომოტივი“ მობილურობით, სტაბილურობით და კარგი დაცვით გამოირჩეოდა — მე-16 ტურამდე გუნდს ოდენ შვიდი ბურთი ჰქონდა გაშვებული, მაგრამ მე-16-მე-17 ტურებში რვა გაუშვა — 2:5 და 1:3 „ლოკომოტივმა“ „დინამოსგან“ და „თბილისისგან“ იგემა.

ამ სეზონში გუნდის სპონსორი აქაური კომპანია „SILK ROAD“ („აბრეშუმის გზა“) გახდა და „ლოკომოტივს“ მყარი ფინანსური საფუძველი შეუქმნა — ზამთრის შესვენებისას „ლოკომოტივი“ რამდენიმე სახელიანი მოთამაშის დამატებას აპირებს, თუმცა პირველ ეტაპზეც შეიმატა კარგი ფეხბურთელები — ალეკო გოგობერიშვილი და ლადო ბურდული, სეზონის დაწყებამდე კი მიხეილ ბობოხიძე — მათ „ლოკომოტივი“ მნიშვნელოვნად გააძლიერეს. როცა „ლოკომოტივი“ ზამთრის ტრანსფერებსაც განახორციელებს, მერე უფრო კარგად გამოჩნდება, თუ კონკრეტულად რა მიზნისთვის იბრძოლებს მეთექვსმეტე ეროვნულში.

## ზესტაფონი

გოლი: 16
საშუალოდ მატჩში: 0,88 გოლი
ბომბარდირი:
დავით ჩილვინაძე (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გიორგი თურმანიძე


„ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია

ტრანსფერები, ტრანსფერები — აი, „ზესტაფონის“ დევიზი. იმერლები იმდენ ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, თვლა აერევა კაცს.

მთავარი კი ის არის, რომ „ზესტაფონმა“ ქულების დაგროვებითაც დაგვამახსოვრა თავი და ეს განსაკუთრებით ბოლო ტურებზე ითქმის. ისიც ალსანიშნავია, რომ ზესტაფონელებმა „უფროსებსაც“ აწყენინეს. გაგახსენებთ — „ლოკომოტივთან“ სტუმრად 2:1, „ტორპედოსთან“ შინ 1:1, „ვიტ ჯორჯიასთან“ შინ 3:1.

ზესტაფონში იმისაც სჯერათ, რომ გუნდი ზამთრის შესვენებისას გაძლიერდება და გაისად საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

## სიონი
ბოლნისი

გოლი: 15
საშუალოდ მატჩში: 0,83 გოლი
ბომბარდირები:
გოგოლაძე (4), რუსია (4)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გიორგი ფეიქრიშვილი

„სიონის“ საშველი არ ჩანს. ჩემპიონატის დასაწყისში ბოლნისელებს რაიონის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აკლებდა, მაგრამ, ნელ-ნელა მათი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და გუნდიც ლამის დაშლის პირას მივიდა. იყო ისეთი ფაქტიც, როცა „სიონის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებმა ქუთაისში, „ტორპედოსთან“ თამაშზე უარი თქვეს და კუთვნილი ანაზღაურება მოითხოვეს. „ტორპედოსთან“ „სიონმა“ 0:5 წააგო. მერე კი ფეხბურთელებს დავალიანების ნაწილი გაუსტუმრეს და გუნდმაც შინ ამბიციამომატებულ და ჩაფულიანებულ „ზესტაფონს“ წირვა გამოუყვანა. „სიონმა“ ერთი-ორი ხმაურიანი მატჩი პირველ წრეშიც ჩაატარა, მაშინ, როცა გუნდს ვარლამ კილასონია თავკაცობდა, მაგრამ მერე... აბა, რა ახალია, გუნდის ფინანსური მდგომარეობა და შედეგი ერთიმეორის პირდაპირპროპორციული რომ არის. იშოვის „სიონი“ ფულს, ალბათ იშოვის ქულებსაც, ვერ იშოვის და...




## ბათუმი

გოლი: 22
საშუალოდ მატჩში: 1,22 გოლი
ბომბარდირი:
გიორგი ჭელიძე (7)
საუკეთესო ფეხბურთელი:
ვიტალი დარჩიძე

ამირან გოგიტიძის შეგირდებმა ჩემპიონატი კარგად, სტაბილურად კი დაიწყეს, ერთი პერიოდი ლიდერებშიც გაერივნენ, მაგრამ მერე ფინთიხი, უფრო სწორად, ფული შემოაკლდათ და თამაშის ხარისხიც გაუუარესდათ. მეორე წრეში „ბათუმისთვის“ თითქმის სულ ერთი იყო, მატჩი როგორი შედეგით დამთავრდებოდა, შთაბეჭდილება იქმნებოდა, ზღვისპირელები მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობდნენ. „ბათუმმა“ ბოლო შვიდი მატჩიდან, შინ თუ სტუმრად, ექვსი წააგო, მხოლოდ ერთხელ, „კოლხეთთან“ შეძლო ქულის ალება და შესაბამისად ცხრილშიც დაქვეითდა. თუმცა უახლოეს მდევარ „ზესტაფონს“ „ბათუმი“ ახლაც ოთხი ქულით უსწრებს.

„ბათუმის“ ულიმლამო თამაშს ყველა ერთი მიზეზით ხსნის — უფულობით. გუნდი მთავარმა დამფინანსებელმა, პორტმა მიატოვა და ბათუმელები ახლა სხვა ფულიან ორგანიზაციასთან შეკედლებას ცდილობენ. რა გამოუვათ, მეორე ეტაპზე ვნახავთ.

## კოლხეთი
ფოთი

გოლი: 17
საშუალოდ მატჩში: 0,94 გოლი
ბომბარდირი:
მერაბ ძოძუაშვილი (5)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გიორგი თოდუა

საქართველოში ფეხბურთის სამშობლო ფოთია და „კოლხეთი“ ბოლო დრომდე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იყო. მიმდინარე სეზონი კი „კოლხეთმა“ ძალიან ცუდად დაიწყო — მეცხრე ტურამდე გუნდს სამი ქულა ჰქონდა. სწორედ მაშინ შეიცვალა მწვრთნელი „კოლხეთში“ — ნუგზარ თვარაძისა და გია ტყებუჩავას ტანდემი სერგო გაბელაიამ შეცვალა. გაბელაია „კოლხეთში“ ახალი კაცი არ ყოფილა, გუნდში ადრეც უმუშავია სოსო ფილიას თანაშემწედ.

მოკლედ, გაბელაიას მისვლით „კოლხეთი“ მოღონიერდა, მწვრთნელმა ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა ჩაუნერგა, ხოლო სპონსორობას გუნდს ფოთის პორტი უწევდა და ახლაც ასეა.

გაბელაიას ხელში „კოლხეთმა“ 16 ქულა მოიპოვა ათ ტურში და ბოლო ადგილიდან მერვეზე აინაცვლა. თუ ხელშემშლელი ფაქტორები არ გამოჩნდა, „კოლხეთი“ უმაღლესი ლიგიდან არ უნდა გავარდეს.

## დილა
გორი

გოლი: 13
საშუალოდ მატჩში: 0,72 გოლი
ბომბარდირები:
წუწუნავა (3), სულთანიშვილი (3),
მძინარიშვილი (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
საბა სულთანიშვილი

„დილა“ დღესდღეობით ყველაზე გაჭირვებული გუნდია უმაღლეს ლიგაში. გორელებზე იგივე ითქმის, რაც „სიონზე“, არ არის ფული, არ არის შედეგი. არადა, შემადგენლობით რომ ვთქვათ, „დილა“ არც „სიონს“ ჩამოუვარდება და არც „კოლხეთს“...

„დილას“ თითქოს არც რეგიონის ხელმძღვანელობის ყურადღება აკლია, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი გუნდის საშინაო მატჩს არ აცდენს და ტრიბუნაზე მოკალათებული ქომაგს მიწის თხილითაც უმასპინძლდება, მაგრამ რად გინდა, ფეხბურთელებს პურის ფული არ აქვთ და რა სინდისით უნდა უთხრა, თამაში რად წააგეო. აგერ, ახლა, ბოლო ტურში იყო, ძმებმა ხანიაშვილებმა მწვრთნელ სოსო ვაშაკიძეს რომ შესჩივლეს, დღეს თითო ჭიქა ჩაი გვაქვს დალეულიო. ჭიქა ჩაიზე გადავლილ გუნდს კი შედეგი აბა, როგორ მოეთხოვება.







# ადამიანი ჩემოდანზე

„თბილისი“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“, „კოლხეთი“, „სიონი“ და „დილა“ — აი, გუნდები, რომლებმაც პირველ ეტაპზე მწვრთნელები გამოიცვალეს. ზოგი გაათავისუფლეს, ზოგიც გუნდს თავად გაეცალა, თუმც ცვლილებების მიზეზი ყველა შემთხვევაში ერთი იყო — შედეგი, რომელიც კლუბის უფროსობას არ აკმაყოფილებდა.

„თბილისში“ გიორგი დევდარიანი, რომელიც სამწვრთნელო საქმის უკეთ სასწავლებლად უცხოეთში წასვლას აპირებს, ამ ერთი თვის წინ საქართველოში დაბრუნებულმა პერუელმა ლუის ცაკარიასმა შეცვალა. თუმც სათქმელია, რომ პირველი ეტაპი გუნდს ორივემ ერთად ჩაამთავრებინა.

„ვიტ ჯორჯიამ“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვისლასთან“ სირცხვილნაჭამი მერაბ კოჭლაშვილი დააბრუნა საჭესთან, ვლადიმერ ხაჩიძე კი ისევ მის თანაშემწედ ჩააჩოჩეს.

„ზესტაფონმა“ მოლდოველი ვლადიმირ ზემლიანოი გაუშვა, ვინც ამბიციურ იმერლებს ვერაფრით არგო — მის ხელში გუნდმა თამაში ვერ მოიგო. „ზესტაფონს“ ახალი თავკაცი დიდხანს არც უძებნია, თემურ მახარაძე მიიწვიეს და შედეგიც მიიღეს.

„კოლხეთმა“ დათო მახარაძეს სერგო გაბელაია ამჯობინა და თამაში მნიშვნელოვნად გამოასწორა. „სიონიდან“ ვარლამ კილასონია ნებით და მოუგვარებელ პრობლემათა გამო წავიდა, მემკვიდრედ გიორგი ყიფშიძე დატოვა, თუმც ბოლნისელებს მაინც არაფერი ეშველათ. იგივე ითქმის „დილაზეც“, ზურაბ ხორგუაშვილის გადადგომით და სოსო ვაშაკიძის დანიშვნით ვერც გორელებმა იხეირეს.

ვნახოთ, წინ მეორე ეტაპია.

### ბომბარდირები

| | | | |
|---|---|---|---|
| 12-მეგრელაძე | ტორპედო | 10-ოდიკაძე | თბილისი |
| მელქაძე | დინამო | ბობოხიძე | ლოკომოტივი |

### სიმბოლური ნაკრები

ლევან მელქაძე — დინამო
გია მეგრელაძე — ტორპედო
გოჩა ხოჯავა — თბილისი
დავით კვირკველია — დინამო
გოგიტა გოგუა — თბილისი
ილია კანდელაკი — დინამო
შოთა ბაბუნაშვილი — ტორპედო
ლაშა სალუქვაძე — დინამო
დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
დავით ოდიკაძე — თბილისი
ზვიად სტურუა — ტორპედო

გუნდი: ტორპედო
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

### ლივერპული — ოლიმპიაკოსი

САВАРАУДО — სავარაუდო შემადგენლობები

| ლივერპული | ოლიმპიაკოსი |
|---|---|
| კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ნუნიესი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, ლოუის გარსია, კიუელი, ბაროში | ნიკოპოლიდისი, ვენეტიდისი, ანატოლაკისი, შურერი, პანტოსი, რივალდო, სტოლტიდისი, კაფესი, ჯორჯევიჩი, ჯოვანი, ოკასი |

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

### დეპორტივო — მონაკო

სავარაუდო შემადგენლობები

| დეპორტივო | მონაკო |
|---|---|
| მუნუა, ექტორი, ჟორჟე ანდრაგე, პაბლო ამო, კაპდევილა, ვიქტორი, დუშერი, სკალონი, მუნიტისი, ლუკე, პანდიანი | რომა, მაიკონი, სკილაჩი, გივე, ევრა, ზიკოსი, ფარნერუდი, ბერნარდი, ჩევანტონი, სავიოლა, კალონი |

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

## B ჯგუფი

### ლევერკუზენი — დინამო

სავარაუდო შემადგენლობები

| ლევერკუზენი | დინამო |
|---|---|
| ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, შნაიდერი, რამელო, ბაბიჩი, პონტე, ფრაიერი, ბერბატოვი, ვორონინი | შოვკოვსკი, საბლიჩი, გიოანე, გავრანჩიჩი, ელ კადური, როდოლფო, გუსინი, რინკონი, ო. გუსევი, კლებერი, იუსუფი |

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

### რომა — რეალი

სავარაუდო შემადგენლობები

| რომა | რეალი |
|---|---|
| პელიცოლი, პანუჩი, დელასი, ფერარი, კანდელა, მანსინი, პეროტა, დაგოსტინო, აკილანი, ტოტი, კორვია | კასილიასი, სალგადო, სამუელი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო |

მსაჯი:რენე ტემინკი (ჰოლანდია)

## გავიტანოთ ორზე მეტი!

### რაფაელ ბენიტესმა ლივერპული დაქოქა



მიუხედავად იმისა, რომ დუშან ბაევიჩის „ოლიმპიაკოსი“ პირველ ადგილზეა, ლივერპულში სჯერათ, რომ დღეს ბერძნები ბრიტანეთს უქულოდ დატოვებენ, მით უფრო, რომ ელინთა წინა სამი სტუმრობა „ენფილდზე“ მათი მარცხით დასრულდა.

ორბურთიანი ან უფრო მეტი ანგარიშით მოგება „ლივერპულს“ ლიგის მერვედფინალში გაიყვანს. ხოლო თუ A ჯგუფის მეორე მატჩში ფრანგულმა „მონაკომ“ უკვე გავარდნილ „დეპორტივოსთან“ წააგო, „ოლიმპიაკოსი“ მომდევნო ეტაპზე გავა, მიუხედავად იმისა, „ლივერპულთან“ რა ანგარიშით დაამთავრებს შეხვედრას. საწინაამდეგო ვარიანტისას, ანუ ფრანგთა ესპანეთში ვაჟკაცობის შემთხვევაში, ინგლისელებს ნახსენები უხვგოლიანი გამარჯვება სჭირდებათ.

„დარწმუნებული ვარ, ორზე მეტი გოლის გატანას მოვახერხებთ. თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ მერვედფინალში გასვლის ღირსები არ ვყოფილვართ“ — განაცხადა ინგლისელთა ესპანელმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა, რომელსაც დღეს ტრავმირებული თვისტომი ლუის გარსია გამოაკლდება. ბენიტესს თავდასხმის ხაზის გაძლიერება მილან ბაროშით, ჰარი კიუელით ან ნილ მელორით მოუწევს. კიუელმა თავისი გოლით ენფილდელებს შაბათს „ასტონ ვილასთან“ ფრე მოუტანა.



იონ არნე რიისეს და სტივენ ჯერარდს ბენიტესმა ბევრი გოლი მოსთხოვა

„ოლიმპიაკოსი“ ინგლისში „პანათინაიკოსთან“ მოგებული ჩადის — გამარჯვების ბურთი რივალდომ შეაგდო. დუშან ბაევიჩი გეორგატოსს ვერ დაიხმარს, საეჭვოა გაბრიელ შურერის თამაშიც.

„რეალი“, „ვალენსია“, „ბარსელონა“ — ოთხიდან სამმა ესპანურმა გუნდმა ჯგუფიდან გასვლის შანსები ბოლომდე შეინარჩუნა და მხოლოდ გალისიური „დეპორტივო“ აღმოჩნდა პირინეელთა უიღბლო წარმომადგენელი. ხავიერ ირურეტას გუნდი 5 თამაშიდან ორი ქულითა და ვერც ერთი გატანილი გოლით ცხრილის ფსკერზე ჩაიძირა და დღეს „მონაკოსთან“ შარშანდელი სირცხვილის (8:3) ჩამოსარეცხად თუ გამოიდებს თავს. გალისიელთა ლაზარეთს — ვიქტორ სანჩესი, სერხიო გონსალესი — მუხლმტკივანი დიეგო ტრისტანიც შეემატა და ფრანგებთან ვერც ის ითამაშებს.

დიდიე დეშანის „მონაკომ“ წინა კვირაში მოჰამედ კალონისა და ერნესტო ჩევანტონის გოლების წყალობით „რენი“ დაამარცხა. მაშინ ტრავმათა გამო სებასტიან სკილაჩიმ და ნონდამ ვერ იბურთავეს. „დეპორთან“ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვითამაშებთ“ — იმედიანი ეჩვენათ ფრანგთა მწვრთნელი ჟურნალისტებს მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:2 | 10 |
| მონაკო | 5 | 3 | 0 | 2 | 5:4 | 9 |
| ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 3:2 | 7 |
| დეპორტივო | 5 | 0 | 2 | 3 | 0:4 | 2 |

## ცარიელი ტრიბუნა რეალს შეაშინებს

ესპანურ გიგანტს, მადრიდის „რეალს“ უცილობლად მოგება სჭირდება რომში, თორემ განზე დარჩება ლიგის მერვედფინალი, რომლის მიღმაც ზედიზედ შვიდი სეზონი არ დარჩენილა. ამასთან დაკავშირებით კი, გვახსენდება ორი კვირის წინ „ლევერკუზენთან“ ფიგუს ვერგატანილი პენალტი. პორტუგალიელს რომ გაეტანა, ახლა „რეალი“ ფრითაც გაინაღდებდა ჯგუფიდან გასვლას.

„რეალს“ რომშიც ეყოფა ფრე, ოღონდ იმ პირობით, თუ „ლევერკუზენი“ შინ დამარცხდება კიევის „დინამოსთან“.

დღევანდელი მატჩი „სტადიო ოლიმპიკოზე“ მეორე იქნება, რომელიც უმაყურებლოდ ჩაივლის. გეხსომებათ, რომ პირველ ტურში ანდრეს ფრისკისთვის თავის გატეხვის გამო „ოლიმპიკო“ სამმატჩიანი სიცარიელით დაისაჯა. „რეალში“ კი თვლიან, რომ ეს გარემოება მათ წაადგებათ. მიჩელ სალგადო: „მაყურებლის მხრიდან ზეწოლას ვერ ვიგრძნობთ და ეს ძალიან კარგია. თუმც გადამწყვეტი მნიშვნელობა, ცხადია, ამას არ აქვს. მთავარია, მოსაგებად თავი დავდოთ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია დ ისიც ვიცით, როგორ წარვმართოთ თამაში. მეტოქემ, რომელსაც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არ აქვს, წესით სრული მობილიზაციით არ უნდა ითამაშოს, მაგრამ მეორე მხრივ, წინასწარ არასდროს იცი, რა მოხდება. შესაძლოა; „რომასთვის“ ჯგუფში თუნდაც ერთი მატჩის მოგება პრინციპის საქმე იყოს“.

დღევანდელი მატჩისთვის „რეალს“ უბრუნდება ზინედინ ზიდანი, რომელმაც „ლევერკუზენთან“ შეხვედრისას ზურგი იტკინა და კვირას „ვილიარეალთან“ ვერ ითამაშა. „რომას“ დისკვალიფიცირებული ჰყავს ჯუზეპე სკურტო და დანიელ დე როსი, ტრავმირებული კი ოთხია: კრისტიან კივუ, ოლივიე დაკური, ფილიპ მექსეში და მიდო.

„რეალმაც“ და „რომამაც“ ლევერკუზენში სამ-სამი გოლი გაუშვეს. ახლა ამ ქალაქში ჯგუფის ლიდერი „დინამო“ ჩადის, რომლის მწვრთნელიც ოიჟეფ საბო ამბობს: „თუ მიზნად ფრეს დავისახავთ, უეჭველად დავმარცხდებით. ფაქტობრივად, შეუძლებელია, 90 წუთი მხოლოდ მეტოქის შეტევებს იგერიებდე და ერთხელაც არ შეცდე. ამიტომ ჩვეულებრივად ვითამაშებთ, მოსაგებად“.

ბუნდესლიგის ბოლო ტურში ლევერკუზენელებმა „ვოლფსბურგს“ 2:1 მოუგეს, მაგრამ „დინამო“ „ვოლფსბურგი“ ნამდვილად არ არის. კლაუს აუგენტალერი: „ისე თუ ვითამაშებთ, როგორც „ვოლფსბურგთან“, ვერაფერს გავხდებით. იმ მატჩში მხოლოდ ერთი ტაიმი ვითამაშეთ ძალიან კარგად, რაც მოსაგებად გვეყო. „დინამოსთან“ კი 90 წუთი უნდა ვიბრძოლოთ, შედეგი თუ გვინდა“.

თანამემამულეები „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რუდი ფოლერმაც გააფრთხილა: „ნუ დავივიწყებთ, რომ „დინამო“ ჯგუფის ლიდერია, ასეთი რამ კი შემთხვევით არ ხდება“.

ისე, რამხელა დარტყმა იქნება კიეველებისთვის, ბოლო ტურის წინ ლიდერი გუნდი ჯგუფში რომ ჩარჩეს, ვფიქრობთ, საკითხავიც არაა.

სტუმრებს ამ მატჩის წინ დისკვალიფიცირებული ან ტრავმირებული არავინ ჰყავთ. ფეხს უმნიშვნელოდ იტკიებენ ლეკო და როდოლფო, თუმც ამან მათ მოედანზე გასვლას ხელი არ უნდა შეუშალოს.

მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო დიეგო პლასენტე არ ეყოლებათ, პოლონელი კრჟინოვეკი კი კუნთის ტრავმის გამო ვერ ითამაშებს.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:8 | 8 |
| რომა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |




კრისტიან პანუჩი და ზინედინ ზიდანი დღეს რომშიც გაიწევენ ერთმანეთისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. VI ტური, დღეს

## C ჯგუფი

### აიაქსი — ბაიერნი

სავარაუდო შემადგენლობები

| აიაქსი | ბაიერნი |
|---|---|
| ვონკი, ტრაბელსი, ესკუდე, გრიგერა, მაქსველი, სნეიდერი, გალაშეკი, ნ. დე იონგი, ვან დერ ვაარტი, ანასტასიუ, მ. როსალესი | კანი, კუფური, ლუსიო, რობერტ კოვაჩი, რაუ, ჰარგრივსი, ბალაკი, ფრინგსი, შვაინსტაიგერი, მაკაი, პიზარო |

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

### მაკაბი — იუვენტუსი

სავარაუდო შემადგენლობები

| მაკაბი | იუვენტუსი |
|---|---|
| ნირი, მოოსა, სტროოლი, მიშაელოფი, აბო-საიმი, ზიტონი, ტ. კოენი, მესიკა, ლ. კოენი, დაგო, ი. ადო | ბუფონი, ძებინა, მონტერო, კანავარო, პესოტო, კაპო, აპია, ტაკინარდი, ნედვედი, დელ პიერო, ზალაიეტა |

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

## D ჯგუფი

### ფენერბაჰჩე — მანჩესტერი

სავარაუდო შემადგენლობები

| ფენერბაჰჩე | მანჩესტერი |
|---|---|
| რუშთუ, ონდერი, ფაბიო ლუსიანო, სერვეთი, უმით ოზატი, მეჰმეთი, მარკო აურელიო, სერქანი, თუნჯაი, ნობრე, ალექსი | კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ფლეტჩერი, ჯემბა-ჯემბა, სქოულზი, მილერი, რუნი, სმიტი |

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

### ლიონი — სპარტა

სავარაუდო შემადგენლობები

| ლიონი | სპარტა |
|---|---|
| პიუდებუა, რეველიერი, ლ. დიატა, კრისი, ბერტოდი, მ. დიარა, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, მალუდა, ნილმარი, ვილტორდი | ბლაჟეკი, პეტრაში, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, ლაბანტი, პობორსკი, შივოკი, ზელენკა, ვორიშეკი, შიმაკი, იუნი |

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)



ალესანდრო დელ პიეროს თელ ავივში დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ

# ალთქმულ მიწაზე ალთქმული ანგარიშით

ხუთჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში „იუვენტუსი“ მინდორზე და ხუთჯერვე 1:0 მოიგო. ერთი სიტყვით, „ბებერი ქალბატონი“ შეჯიბრების მეორე ეტაპზეა და სანერვიულო თელ ავივის სტადიონზე, „მაკაბისთან“ შეხვედრაში, საერთოდ არაფერი აქვს. ერთადერთი, რაც ტურინელებს თეორიულად შეიძლება აინტერესებდეთ, ჯგუფური ეტაპის ყველა გამარჯვებით ან გოლის გაუშვებლად ჩამთავრებაა და ამ მიზნამდე მათ მხოლოდ 90 წუთი აკლიათ.

დაშავებული „იუვენტუსს“ (დავიდ ტრეზეგეს ნულარ ჩავთვლით) რუბენ ოლივერა ჰყავს, სხვანი კი თითქმის ყველა უნდა იყოს მოედანზე — პაველ ნედვედიცა და ალესანდრო დელ პიეროც — ერთადერთი, ვერ იქნება დისკვალიფიცირებული მაურო კამორანეზი.

„მაკაბის“ არც დაშავებული ჰყავს და არც დისკვალიფიცირებული, თუმცა არის ორი ფეხბურთელი, ლორან სტრაუბერი და მარსიო ჯოვანინი, რომელთანაც ექიმის საბოლოო გასინჯვა სჭირდებათ. პირველს ხელი აქვს გაჭრილი, ხოლო მეორეს მუხლი სტკივა.

და, რა სტიმული აქვს „მაკაბის“? მისი სტიმული ჯგუფში მესამე ადგილზე გასვლის სურვილია — უეფას თასზე უნდა თამაშის გაგრძელება. „იუვენტუსის“ მასპინძლობისა და მისი დამარცხების პრესტიჟულ ნაწილზე აქ ნულარ ვილაპარაკებთ.

ახლა კი ამსტერდამში გავემგზავროთ, სადაც „აიაქსი“, რომელსაც ასევე სურს მესამეზე გასვლა და უეფას თასზე გადართვა, მეორე ეტაპზე თავდაბევებულ „ბაიერნს“ უმასპინძლებს. გარდა ამისა, ელემენტარული თავმოყვარეობის ამბავია: მიუნხენში, პირველ შეხვედრაში, „ბაირნმა“ 4:0 მოუგო და თან მატჩის მთავარი გმირი მიუნხენელთა ჰოლანდიელი ფორვარდი როი მაკაი გამოდგა.

რა პრობლემების წინაშე დგას „აიაქსი“? დისკვალიფიცირებული არავინაა, მაგრამ დაშავებულები ჰყავს მრავლად: უესლი სონკი (საზარდული), ჯონ ობრაიენი (ორთავა კუნთი), ბოგდან ლობონტი (მუხლი), სტივენ პიენაარი (მუხლი), ჯონი ჰეიტინგა (მუხლი) და ტომ დე მული (საზარდული)

„ბაიერნშიც“ არიან ტრავმირებულები. საზარდული სტკივა ჰასან სალიჰამიჯიჩს, კოჭი ვილი სანიოლს, ყბა გაიტეხა მეჰმეთ შოლმა და მუხლი იტკინა ანდრეას გიორლიცმა. აი, ლუსიოს და ოლივერ კანს კი გრიპი შეჰყრიათ.

**ბაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 5 | 0 | 0 | 5:0 | 15 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:3 | 9 |
| აიაქსი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| მაკაბი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |

# ორმოცდამეათე სპარტული
## თურქებს ვან ნისტელროი უხარიათ

ვინ დაიკავებს ჯგუფში პირველ ადგილს, „მანჩესტერ იუნაიტედი“ თუ „ლიონი“? ეს დღეს ლიონში და სტამბოლში გაირკვევა. ინგლისურმა და ფრანგულმა კლუბებმა მერვედფინალი უკვე გაინაღდეს, „ფენერბაჰჩე“ უეფას თასზე ითამაშებს, პრაღის „სპარტა“ კი ბოლო ადგილზე დამკვიდრდა.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ სტამბოლში ტრავმირებული რუუდ ვან ნისტელროი ალბათ ვერ დაეხმარება და „ფენერბაჰჩეს“ გულშემატკივრებსაც ეს ახარებთ, თუმც მოედანზე უეინ რუნი იქნება, რომელმაც პირველ მატჩში თურქებს სამი გოლი გაუტანა და ის შეხვედრა მანჩესტერელებმა 6:2 მოიგეს.

სერ ალექს ფერგიუსონი ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს. „ფენერთან“ მათ ათამაშებს, ვინც „არსენალთან“ სათასო მატჩში გაისარჯა. დარენ ფლეტჩერს, ერიკ ჯემბა-ჯემბას, ლაიამ მილერს და ალან სმიტს თავის გამოჩენის საშუალება ეძლევათ. „მე მსურს, ახალგაზრდებმა გამოცდილება შეიძინონ“ — განაცხადა შოტლანდიელმა მწვრთნელმა. მისმა თანამემამულე ფლეტჩერმა კი თქვა, ჩვენი მიზანი ჯგუფში პირველობაა, რადგან წილისყრის დროს ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია, შედარებით ძლიერი მეტოქეები რომ ავიცილოთო.

„ფენერბაჰჩეს“, რომელსაც მომავალ უქმეებზე „გალათასარაისთან“ ომი ელის, დენიზ ბარიში და მთავარმეგოლე პიერ ვან ჰოიდონკი დააკლდება.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ თუ მოიგო, „ლიონი“ მეორე ადგილს „სპარტასთან“ გამარჯვების შემთხვევაშიც ვეღარ ასცდება. პოლლე გუენის გუნდს ჩემპიონთა ლიგის ნიშნით გამართულ ბოლო შვიდ საშინაო მატჩში ერთიც არ წაუგია, ხოლო თურქეთში მანჩესტერელების სამი სტუმრობა ისე დამთავრდა, რომ თურქებისგან გოლი არ გაუშვიათ.

„ლიონს“, რა თქმა უნდა, „სპარტას“ დამარცხება შეუძლია, რადგან შესანიშნავ ფორმაშია, მიუხედავად იმისა, რომ გრეგორი კუპე, კლაუდიო კასაპა, ერიკ აბიდალი და სიდნეი გოვუ ჰყავს ტრავმირებული.

პრაღის „სპარტამ“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო შვიდ გასვლით შეხვედრაში გამარჯვება ვერ შეძლო, დღეს კი ჩეხებისთვის ეს მატჩი საიუბილეო, 50-ეა და ეგებ ნავსი გატეხონ. ლიონის სტუმრებს ორი ფეხბურთელი ჰყავთ ტრავმირებული — პაველ პერგლი და იან რეჟეკი.

| 15360 რომა-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15361 აიაქსი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15362 მაკაბი-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15363 ლიონი-სპარტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13356 ფენერბაჰჩე-მანჩესტერი | 1.5 | 2.2 |
| 13357 დეპორტივო-მონაკო | 1.5 | 2.2 |
| 13358 ლივერპული-ოლიმპიაკოსი | 1.8 | 1.8 |
| 13359 ლევერკუზენი-დინამო | 1.5 | 2.2 |
| 13360 რომა-რეალი | 1.6 | 2.0 |
| 13361 აიაქსი-ბაიერნი | 1.45 | 2.3 |
| 13362 მაკაბი-იუვენტუსი | 1.6 | 2.1 |
| 13363 ლიონი-სპარტა | 1.8 | 1.8 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 12356 ფენერბაჰჩე-მანჩესტერი | 1.9 | 1.7 |
| 12357 დეპორტივო-მონაკო | 1.7 | 1.9 |
| 12358 ლივერპული-ოლიმპიაკოსი | 1.7 | 1.9 |
| 12359 ლევერკუზენი-დინამო | 1.8 | 1.8 |
| 12360 რომა-რეალი | 2.0 | 1.6 |
| 12361 აიაქსი-ბაიერნი | 1.8 | 1.8 |
| 12362 მაკაბი-იუვენტუსი | 1.6 | 2.0 |
| 12363 ლიონი-სპარტა | 1.9 | 1.7 |



# ნუგზარი და გოლიათი
## გუნდს გუნდურად უნდა აჯობო

ნუგზარ კანდელაკის „ნდტ-დევონი“ აზერბაიჯანის ჩემპიონატში ამ შაბათს მეორედ შეხვდა რიმას კურტინაიტისის „გალას“ და კვლავ დამარცხდა. „ბასკოს“ გამჩემპიონებელი კანდელაკი ბაქოში ძირითადად იმ ინტერესით წავიდა, რომ იქ სწორედ „გალა“, საკმაოდ ძლიერი და შემძლე კონკურენტი ელოდა. თუმც კურტინაიტისის გუნდი ისეთი მძლავრია, რომ კანდელაკის „დევონი“ ჯერჯერობით [illegible] ლება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან „გალას“ მხოლოდ ორ ამერიკელ ლეგიონერს „დევონის“ ბიუჯეტზე ორჯერ მეტი ხელფასი აქვს. თუმც კანდელაკი მაინც ჯავრობს „გალასთან“ ნაგებას, რაკი მისი აზრით, ოცქულიანი მარცხი ძალების ასეთი თანაბარდობისას კატასტროფას არ წარმოადგენს...

— ვერ ვიტყვი, შედეგით უკმაყოფილო ვარ-მეთქი. პირიქით, მადლობა ყველა დევონელს, რაკი მათ ძლიერ მეტოქეს ტოლი არ დაუდეს და ორი მეოთხედი მოუგეს.

**— დამეთანხმებით, რომ მხოლოდ მეოთხედის მოგება ბევრს არაფერს ნიშნავს...**

— არა, მაგრამ ჩემმა გუნდმა მხოლოდ მეორე ათწუთეული წააგო პირწმინდად და სწორედ ამიტომ დამარცხდა, პირველ და ბოლო ორ მეოთხედში კი თანაბარი ბრძოლა იყო. „გალას“ დონის გუნდს 30 წუთის განმავლობაში ტოლს რომ არ დაუდებ და მხოლოდ ერთ მეოთხედში გაჯობებს, ეს უფრო წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

**— ასეთი ძლიერია „გალა“?**

— ძლიერიცაა და საკმაოდ გამოცდილიც. ორი ისეთი დონის ამერიკელი ლეგიონერი ჰყავს, რომლებსაც სახელფასოდ ჩემი გუნდის ორმაგი ბიუჯეტი არ ეყოფათ. არაფერს ვამბობ ლიტველებზე, რომლებიც საკმაოდ სოლიდურ ძალას წარმოადგენენ. მოკლედ, კლასით ბევრად გვჯობს „გალა“, ის ევროპის საშუალოზე ოდნავ დაბალი დონის გუნდია. გამოცდილებაც ისეთი აქვს, ჩვენ რომ ვერც კი ვიოცნებებთ. „ჩელენჯ ქაფზე“ ხომ თამაშობენ, ახლახან ლიტვაში 25 დღით იყვნენ შეკრებაზე და უამრავი სპარინგ-მატჩი გამართეს ბალტიისპირეთის წამყვან კლუბებთან. ჩვენ კი თვეში ერთი თამაში გვაქვს სერიოზულ მეტოქესთან და ისიც „გალასთან“. აზერბაიჯანის სუსტ გუნდებთან კი რა გინდა, რომ დახვეწო?! ამიტომაც გაგვიხარდა, დუდუ დადიანის ტურნირზე მონაწილეობის ნება რომ დაგვრთეს და ცოტა გამოცდილება შევიძინეთ.

**— ესე იგი, საშველი არ ყოფილა და „გალა“ ჩემპიონია...**

— მომავალში რა იქნება, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, რომ ჩემი გუნდის თამაშში აშკარად შეინიშნება წინსვლა და თუ ვინმე ხეირიან კალათბურთელს დავიმატებთ, „გალასთან“ ბრძოლაც შეიძლება. ამ მატჩშიც გამოჩნდა, რომ გამართული ტაქტიკით ბევრის მიღწევა შეიძლება. როცა გუნდურად ვთამაშობდით, პრობლემა არ გვქონდა, ხოლო ინდივიდუალურად „გალა“ ბევრად გვჯობდა. გუნდური თამაშის სწავლას დრო და გამოცდილება სჭირდება, რის ნაკლებობასაც განვიცდით. ამიტომაც ვგეგმავთ მომავალ სეზონში საზღვარგარეთულ შეკრებას, რომ ძლიერ გუნდებთან თამაშში დავხვეწოთ ჩვენი ტაქტიკა.

**— ვინმეს შემატებას ხომ არ აპირებთ?**

— არ ვიცი, თუ გუნდის ხელმძღვანელობამ საკმარისი ფინანსები გამოინახა, უცხოელს ჩამოვიყვანთ, თუ არადა, ალბათ ერთ საქართველოში მოთამაშე კალათბურთელს შევიმატებთ, რომლის ვინაობასაც ახლა ვერ გავამხელ.

**ირაკლი პერტაია**

# გამოფხიზლდით, ირემებო!
## ფაჩულიას მილუოკიში სიტყვა ეთქმის



**შაბათს** „სან ანტონიოსთან“ 21-ქულიანი მარცხის შემდეგ მილუოკელმა ჟურნალისტებმა „ბაქსის“ პლეი ოფს მიღმა დარჩენა იყნოსეს და აქედანვე ატეხეს განგაში, რაც, ბუნებრივია, „ხარირმების“ გამოფხიზლებას ისახავს მიზნად.

სეზონი ერთი თვეა, გახურდა, მაგრამ თუ ახლავე არ შევახურეთ „მილუოკი“, მერე გვიან იქნება — ამბობენ „ჯორნალ სენტინელის“ ჟურნალისტები. ამ ამბებიდან კი ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ მედია აზრს ჩვენიან ზაზა ფაჩულიასაც დაეკითხა, ცხადია, „ბაქსის“ სხვა ლიდერებთან ერთად.

„ახლა „მილუოკის“ სამი პრიორიტეტი აქვს: მობილიზაცია, მობილიზაცი და მობილიზაცია — ასე ორიგინალურად ცდილობს მედია „ხარირმების“ გამოფხიზლებას — ისე, ძნელია მობილიზაცია, როცა ბოლო ათი თამაშიდან ცხრაში დამარცხდი, მაგრამ სწორედ ასეთ დროს რომ ივარგებ, ვაჟკაცობაც ისაა.“

„ჩვენ ერთ მუშტად შეკვრა შეგვიძლია, ეს ჩვენი პროფესიაა — ამბობს მილუოკელთა ერთ-ერთი ლიდერი მაიკ ჯეიმსი — ახლა მხოლოდ სულელი თუ დანებდება. აქამდე მოვსულვართ და ახლა დავიხიოთ უკან?! იცით, რას ვგულისხმობ? არიან გუნდები, რომელთაც ჩვენზე ცუდად დაიწყეს სეზონი, მაგრამ რომ ჰკითხო, პლეი ოფში გასვლის კანდიდატები არიან.“

ჩვენ, ცხადია, ზაზა ფაჩულიას ნაუბარი უფრო გვაინტერესებს: „პლეი ოფში გასვლა ჩვენი მთავარი საზრუნავია. ეგებ ახლა ვინმე შემოგვედაოს, თქვენ რა პრეტენზია გაქვთ, ცხრილში ჩაიხედეთო, მაგრამ არავინ იცის, რა მდგომარეობა იქნება თუნდაც დეკემბრის ბოლოს. ჩვენს გუნდს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს და განსაკუთრებით შინ თამაშობს ძლიერად. ეგაა, საკუთარი თამაშის დაჭერა გვინდა და მერე ყველაფერი გაგვიადვილდება. წინ მთელი სეზონია“ — იმედიანადაა ფაჩულია.

აი, ასე უნდა საკუთარი გუნდის ქომაგობა და გვერდში დგომა — პლეი ოფამდე ხომ ჯერ მთელი ნახევარი წელია და მილუოკური პრესა უკვე ათუხთუხდა. „ბაქსის“ საამსეზონო მონაგარი კი ოთხი მოგებაა ათი მარცხის წილ.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



„ნიუ ჯერსის“ ლიდერი ჯეისონ კიდი გამოუჯანმრთელდა

— 6 დეკემბერი —

**დენვერი 115:102 ორლანდო**

დენვერი: მილერი (29), ბაკნერი (2), ენტონი (28), მარტინი (23 ქულა, 12 მოხსნა), კემბი (2); ბოოკინსი (13), ნენე (11), ვაიტი (7), რასელი, ელსონი

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ორლანდო: ფრენსისი (23), მობლი (17) პილი (20), ჰოვარდი (23 ქულა, 10 მოხსნა), კატო (6); ნელსონი (5), თურქოღლუ (4), ჰანტერი (2), სტივენსონი (2), კასუნი

**გოლდენ სტეიტი 110:106 ბოსტონი**

გოლდენ სტეიტი: მერფი (30 ქულა, 15 მოხსნა), რიჩარდსონი (17), კლაქსტონი (13), ფიშერი (13)

ბოსტონი: პირსი (26), ველში (24), პეიტონი (12 ქულა, 11 პასი)

**ატლანტა 96:92 ფილადელფია**

ატლანტა: უოლკერი (22 ქულა, 12 მოხსნა), ჰარინგტონი (21), დრობნიაკი (20), სმიტი (11 ქულა, 10 მოხსნა)

ფილადელფია: აივერსონი (36), კორვერი (14), ჯექსონი (13)

**დალასი 85:101 დეტროიტი**

დალასი: ნოვიცკი (27)

დეტროიტი: ბილაფსი (24), ჰამილტონი (19), რ. ვოლესი (13)

**ნიუ ჯერსი 88:86 ტორონტო**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (26 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი)

ტორონტო: კარტერი (22), ბოში (15)

**ჩიკაგო 75:91 სან ანტონიო**

ჩიკაგო: ჩანდლერი (17 ქულა, 12 მოხსნა)

სან ანტონიო: პარკერი (17)

**კლიპერსი 99:93 შარლოტი**

ძირითადი დრო 79:79

კლიპერსი: მეჯიტი (33 ქულა, 11 მოხსნა), ბრენდი (19), საიმონსი (16)

შარლოტი: ბრევეცი (14), კაპონო (14), ოკაფორი (12 ქულა, 15 მოხსნა)

**იუტა 80:100 მაიამი**

იუტა: სნაიდერი (12), ჰარპრინგი (12)

მაიამი: ვეიდი (23), ონილი (21 ქულა, 13 მოხსნა), ჯონსი (21)

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ იორკი | 8 | 8 | 50,0 |
| ბოსტონი | 7 | 10 | 41,2 |
| ფილადელფია | 6 | 11 | 35,3 |
| ტორონტო | 7 | 13 | 35,0 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 12 | 29,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 11 | 6 | 64,7 |
| ინდიანა | 10 | 7 | 58,8 |
| დეტროიტი | 9 | 8 | 52,9 |
| მილუოკი | 4 | 10 | 28,6 |
| ჩიკაგო | 2 | 13 | 13,3 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 10 | 5 | 66,7 |
| ორლანდო | 11 | 6 | 64,7 |
| მაიამი | 12 | 7 | 63,2 |
| შარლოტი | 4 | 11 | 28,6 |
| ატლანტა | 3 | 14 | 17,6 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 16 | 3 | 84,2 |
| დალასი | 12 | 7 | 63,2 |
| ჰიუსტონი | 7 | 11 | 38,9 |
| მემფისი | 6 | 12 | 33,3 |
| ნიუ ორლეანი | 1 | 14 | 6,7 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 15 | 3 | 83,3 |
| მინესოტა | 11 | 5 | 68,8 |
| დენვერი | 10 | 7 | 58,8 |
| პორტლენდი | 8 | 8 | 50,0 |
| იუტა | 8 | 10 | 44,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 14 | 3 | 82,4 |
| საკრამენტო | 12 | 5 | 70,6 |
| კლიპერსი | 11 | 7 | 61,1 |
| ლეიკერსი | 10 | 7 | 58,8 |
| გოლდენ სტეიტი | 5 | 12 | 29,4 |

# საქართველო ევროპული ბაზარი გახდება

## კოკა ლაზიშვილის ლაზათიანი საქმე

*ნოემბრის მიწურულს ქართულმა „ბორჯღალომა“ რუსული „დათვი“ რომ დაფლითა, დიდად გავიხარეთ, მაგრამ ამ მოგებას სიურპრიზს ვერ დავარქმევთ. სიურპრიზი ის იყო, 4 დეკემბერს ქართველი კაცი ევროპული რაგბის სათავეში, **FIRA-AER**-ის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარედ რომ აირჩიეს. როგორც უკვე იცით, ეს კაცი საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ კოკა ლაზიშვილი გახლავთ, რომელსაც **FIRA-AER**-ის პრეზიდენტ ჟან-კლოდ ბაკესთანაც მეგობრული ურთიერთობა აქვს და ძნელი მისახვედრი არ არის, ლაზიშვილის ეს თანამდებობა როგორ წაადგება ქართულ რაგბის. ბატონი კოკას აღიარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბრიტანელ ჯონ ბროუდფუტს, რომელიც ორიოდე თვის წინ სტუმრობდა საქართველოს და ჩვენი ბავშვებისა თუ ჭაბუკი მორაგბეების შემხედვარე გაოცებისგან ხელებს შლიდა, ასეთი ნიჭიერები არც ერთ ქვეყანაში არ მინახავსო. როგორც ჩანს, ბროუდფუტს **IRB**-ში კარგა დაუხასიათებივართ, ქართველები რაგბის ზედ ჰყვებიან, მონდომებული ხალხიაო და როდესაც ლაზიშვილი **IRB**-ში ჩასულა, ჩინებული დახვედრა მოუწყვიათ. თუმც, ამდენ ლაპარაკს თავად კოკა ლაზიშვილს გავესაუბროთ.*

— FIRA-AER-ის გენერალური ასამბლეის პირველ დღეს ჟან-კლოდ ბაკემ მითხრა, ყველაფერი შენი გადასაწყვეტიაო. რაღაც კი მიმანიშნა, მაგრამ მეორე დღეს მივხვდი, რომ FIRA-AER-ის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეობას მთავაზობდნენ. ბაკე და მთლიანად ამ სტრუქტურის მესვეურებიც ერთი თვის წინ გავიცანი.

— ბაკე რამდენად ახლოს იცნობს ქართულ რაგბის?

— იგი ყოფილი მორაგბეა, საფრანგეთის ნაკრებში თამაშობდა და ერთხელ ქუთაისშიც ყოფილა ნამყოფი. ისიც მითხრა, მაშინ ვერ ვიფიქრებდი, რომ საქართველოში რაგბი ასეთ დონეზე ავიდოდა და მსოფლიოს თასზე გახვიდოდითო. რა თქმა უნდა, ბაკემ თანამდებობაზე დანიშვნა მომილოცა.

— ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, პირველ რიგში რაში დაეხმარება თქვენი პოსტი ქართულ რაგბის...

— ჩემამდე ეს თანამდებობა ყოფილ რუმინელ მორაგბე ვიორელ მორარიუს ეკავა და რუმინეთს რაშიც წაადგა, ეს ნათელია. მორარიუმ ჩაუშესკუს რეჟიმის პერიოდში ჩამკვდარი რაგბი ხელახლა აღორძინდა კონკრეტულად კი, FIRA-AER-ში ძალიან სჭირდებათ ინიციატივა, არასტანდარტული სვლები, რაგბის განვითარებისთვის ახალი გამოგონებები. გენერალურ ასამბლეაზე ბაკემ დიდი დრო დაუთმო მინდვრების საკითხს ანუ წმინდა სპორტული მხრის პრობლემებს და თქვა, რაგბი მაქსიმალურად უნდა ვაქციოთ ცხოვრების წესად. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ატრიბუტია. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ხომ ძალიან კონსერვატული ქვეყანაა და იქ დღესაც მიაჩნიათ, რომ რაგბი ჯერ აღზრდის სფეროა, მერე კი — სპორტი.

— როგორც ცნობილია, **FIRA-AER**-ს სარაგბო ნაკრებებს შორის კლასში ვეება სხვაობა აფიქრებს და დონის გათანაბრებას ცდილობს...

— ეს IRB-ს სტრატეგიაცაა. ამ ორივე დიდ სარაგბო სტრუქტურას მეორე ეშელონის გუნდების აღმასვლა სურთ. როგორ აპირებენ ამის გაკეთებას? პირველ რიგში კომუნიკაციით, საქართველო ევროპული ბაზარი უნდა გახდეს, ანუ მოხდება მწვრთნელების, მსაჯების გაცვლა. ახლა თუ ჩვენი თითოოროლა მწვრთნელი მიდის უცხოეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შემდეგ ძლიერ უცხოელ სპეციალისტებს აქეთ ჩამოვიყვანთ. იმასაც გეტყვით, რომ გაისად თბილისში მესამე კატეგორიის (უმაღლესი) მწვრთნელთა სემინარი, ალბათ, თბილისში ჩატარდება. მოკლედ, IRB და FIRA-AER ასეთ კარგ გზას დაადგნენ — ძლიერი ეხმარება სუსტს, სუსტი კიდევ უფრო სუსტს. გარდა ამისა, აქამდე ქართულ რაგბის კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდა, რაც დღეიდან აბსოლუტურად აღმოიფხვრება.

— ხომ ვერ დააკონკრეტებდით?

— FIRA-AER და IRB ხშირად ვერ გვიკავშირებოდნენ, ახლა კი ჩვენ ინფორმაციის ეპიცენტრში ვიქნებით. იმას არ ვამბობ, თითქოს აქამდე საქართველოს ევროპაში სახელი არ ჰქონდა, მაგრამ დღეიდან ჩვენთან თანამშრომლობა გაცილებით აქტიური იქნება.

...მოვაწესრიგებთ სატრანსფერო მხარესაც. კარგად იცით, რომ ჩვენი მორაგბეები თავად იკვლევდნენ გზას უცხოეთში, კლუბებთან კონტრაქტებს ცუდი პირობებით აფორმებდნენ, გაუგებრობა ექმნებოდათ და ამიტომაცაა, რომ ჩვენს ლეგიონერებს ნაკრებში არ უშვებდნენ. მოკლედ, სატრანსფერო ჭრილში ყველაფერი ჯერაც არეულ-დარეულია და ამ საქმეს მალევე მივხედავთ. იმ ქართულ მორაგბეებს, რომლებსაც უცხოეთში თამაშობენ და გამართული კონტრაქტი არა აქვთ გაფორმებული, იურიდიულად გაუფორმდებათ. სხვა თუ არაფერი, მოთამაშეებიც ცოდვა არიან.

— ბევრი ჩვენთან [illegible] ნი ფიგურა და [illegible] მხრივ რატომ უნდა [illegible]. ამ დღეებში [illegible] ვიყავი ქართველების თამაშის სანახავად და დავრწმუნდი, როგორ უყვართ იქ ჩვენი მორაგბეები. რომ გამოაცხადეს, მატჩს საქართველოს რაგბის კავშირის წევრები ესწრებიანო, სტადიონმა დიდი ოვაცია მოაწყო.

— ქართული რაგბის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა სტადიონების არქონაა და ამ მხრივ როგორ აპირებთ მუშაობას?

— ამ თემაზე რაგბის კავშირის პრეზიდენტი მერაბ ანთაძე ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და კულტურისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილს. ყველანი დახმარებას დაგვპირდნენ. ერთი სტადიონი ულაპარაკოდ უნდა გაკეთდეს, თორემ სხვაგვარად დიდ წარმატებებზე ფიქრს აზრი არა აქვს.

— **FIRA-AER**-ს შეუძლია, სტადიონისთვის საჭირო თანხა გამოგვიყოს თუ ეს პრობლემა მათ არ ეხებათ?

— ეს IRB-ს ეხება, თუმც რა თქმა უნდა, მთელ ხარჯებს ისინი არ დაფარავენ. შესაძლოა, 20-25 პროცენტი გაიღონ. მოკლედ, სტადიონი ჰაერივით გვჭირდება — ბაკემ ისიც თქვა, უნიკალური შემთხვევაა, ქვეყანას ერთი სარაგბო სტადიონი არა აქვს და მსოფლიოს თასზე გავიდაო.

*დასასრულს, ისიც შევიტყვეთ, რომ კოკა ლაზიშვილს გენერალური ასამბლიის დასრულების შემდეგ საზეიმო ბანკეტზე პოსტ-საბჭოური ქვეყნების სარაგბო მესვეურები შემოუკრებია და ყველას ძმურად ჭიქები რომ მიუჭახუნებიათ, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ერთმანეთი იუკადრისეს. კოკას კი შეუტევია, ასეთი რამ არ გამავონოთო და გადამტერებული მეზობლებიც ჭიქების ჭახუნით დამშვიდობებიან ერთმანეთს.*

**ილია ნანოგაშვილი**



კოკა ლაზიშვილი და ჯეს ევანსი



# სატრასო ამბები

## ბერნის ფორმულასართმევენ

**თითქმის** თვენახევრიანი შვებულების შემდეგ მეფორმულეებმა პირველი სატესტო სერია ჩაატარეს. ესპანეთის თბილ ტრეკებზე ათივე გუნდის პილოტებმა გაივარჯიშეს. საჭეს სათადარიგოებიც უსხდნენ და ზოგიერთ საჯინიბოში ვაკანტური ადგილების მაძიებლებიც.

„უილიამსში“ ერთი ადგილი თავისუფალია და ბოსობაც რამდენიმე მძღოლს სინჯავს ავსტრალიელ მარკ ვებერის სამეწყვილოდ. მათ შორისაა „ჯორდანიდან“ წამოსული გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი, რომელმაც პირველ დღეს ვერ იყოჩაღა, მერე კი ისე გაქანდა, რომ მეორე დრო აჩვენა ზაუბერელ ჟაკ ვილნევის შემდეგ. სერ ფრენკ უილიამსი ძალიანაც კმაყოფილი დარჩა 27 წლის პილოტის ჯირითით, თუმც საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამს.

ერთსეზონიანი უქმობის შემდეგ „სამეფო რბოლებში“ მობრუნებული მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი ვილნევი მშვენივრად მოერგო ახალ საბურავებიან ახალ ბოლიდს და ორჯერ დღის საუკეთესო შედეგიც აჩვენა. პეტერ ზაუბერის მანქანებს გაისად „ბრიჯსტოუნის“ ნაცვლად „მიშლენის“ საბურავები ექნებათ.

მიხაელ შუმახერისა და რუბენს ბარიკელოს არყოფნაში „ფერარის“ ძველი მეტესტე ლუკა ბადოერი და ახალი მარკ ჟენე ამოწმებდნენ. ისე, რა შემოწმება უნდა სჭირდებოდეს იმ მანქანას, რომლითაც სკუდერიელებმა წლეულს 18-დან 15 ეტაპი მოიგეს. ახალი იტალიური ბოლიდი თებერვალში იქნება მზად და 2005 წლის ჩემპიონატში მეოთხე რბოლიდან ჩაერთვება.

შუმი-კელოს გარდა ჯერ ტრასებზე არ გამოჩენილან რენოელი ფერნანდო ალონსო და მაკლარენელი კიმი რაიკონენი.

თავიანთი ახალი გუნდების მანქანებით პირველად გაიჯირითეს ხუან-პაბლო მონტოიამ (მაკლარენი), რალფ შუმახერმა და იარნო ტრულიმ (ორივე ტოიოტა), ჯანკარლო ფიზიკელამ (რენო) და მეტ-ნაკლებად სასურველი შედეგები აჩვენეს.

ბოლოს ცუდი ამბავი საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნთან დაკავშირებით: ფორმულა 1-ის ფაქტობრივ გამგებელს კომპანიონი ბანკირები აუმხედრდნენ. საქმე ისაა, რომ „ბაიერიშე ლანდეს ბანკი“, „ჯეიპი მორგანი“ და „ლემან ბროზერსი“ ეკლსტოუნის ოჯახურ ჰოლდინგ „ბამბინოსთან“ ერთად ფლობენ იმ კომპანიის აქციების თანაბარ რაოდენობას, რომელიც ფორმულა 1-ის კომერციულ უფლებებს განაგებს. რეალურად კი საქმეებს მართავენ მხოლოდ ეკლსტოუნის მიერ დანიშნული ხელმძღვანელები და ბანკები მოგების განაწილებაში ვერ ერევიან.

საქმე სასამართლომდე მივიდა და ორშაბათს ლონდონელმა მოსამართლე ენდრიუ პარკმა დაადგინა, რომ ეკლსტოუნმა კონკურენტები არაკანონიერი გზით „მოტეხა“ და „ბამბინოს“ მიერ თანამდებობების განაწილება გაუქმებულად გამოაცხადა.

„სამეფო რბოლების“ 74 წლის გურუ სასამართლოს სხდომას არ დასწრებია. მას გასაჩივრების უფლება კი აქვს, მაგრამ თუ აპელაციას არ მიიღებენ, ბანკთა სამეულს უფლება მიეცემა, თავად დანიშნოს ფორმულა 1-ის ახალი ხელმძღვანელობა. ეს კი ფაქტობრივად ეკლსტოუნის თითქმის 25-წლიანი მმართველობის დასასრულს ნიშნავს.

**გია ახალაძე**



ბერნი ეკლსტოუნს კომპანიონები მოკვეთით ემუქრებიან




ხუან-პაბლო მონტოიამ პირველად იჯირითა „მაკლარენით“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდით, ვითანამშრომლოთ

## ლიგის რაგბი ლიგას ქმნის

*რაგბილიგა, იგივე ლიგური ანაც ლიგის რაგბი, შემოკლებით კი ლიგა კონტაქტური, ხელითა და ფეხით ბურთაობის ის სახეობაა, რომელსაც 13-კაცა გუნდი ოვალური ბურთით თამაშობს. მის წარმომავლობაზე საუბრისას პირველ რიგში რაგბის ახსენებენ ხოლმე, თუმცა ეს ორი სახეობა საუკუნეზე მეტია, ცალ-ცალკე ვითარდება. რაგბისგან გამოყოფის შემდეგ ლიგელებმა თამაშის წესები ნელ-ნელა შეცვალეს, თან არაერთი რაგბელიც გადაიბირეს.*



დავით კოლასონია

ლიგა ჩრდილო ინგლისში 1895 წელს დაიბადა. იქედან ჯერ მუშურ უელსში გავრცელდა, შემდეგ კი ახალ ზელანდიასა და ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მისი პოპულარობაც წლიდან წლამდე მატულობდა, ხოლო საქართველოში ახლა ინერგება. „ქართული რაგბილიგა“ ჯერ სულ თვეებს ითვლის.

გუშინ სასტუმრო „ძველ მეტეხში“ ახალი წამოწყების მოთავეებმა პირველი პრესკონფერენცია გამართეს. ლიგის არსი და ისტორიაც გაგვაცნეს და სამომავლწლო გეგმაც იქვე გაახმაურეს. ჟურნალისტებს შეხვდნენ „ქართული რაგბილიგის“ პრეზიდენტი, საფრანგეთში მოღვაწე მენეჯერი და ბურთაობათა ლიცენზირებული აგენტი პაატა ცინცაძე, აღმასრულებელი მდივანი — ჯერაც აქტიური ბორჯღალოსანი ნონო ანდღულაძე და წამოწყების საბურთაო ასპექტის თავკაცი, რაგბის კლუბ „უნივერსიტეტის“ მწვრთნელი დავით კოლასონია. მასმედიის ინტერესი კი ძირითადად ცინცაძემ დააკმაყოფილა.

პაატა ცინცაძე: ქართული რაგბილიგა უკვე იურიდიულად გაფორმებულია. სახელმწიფომ გვცნო და სპორტის დეპარტამენტთან ხელშეკრულებაც გაფორმდა. საქმე დაიძრა, ახლა მთავარია, ტემპი გავზარდოთ და წინ ვიაროთ. ლიგით სერიოზულად მაშინ დავინტერესდი, როცა სპორტული აგენტის ლიცენზიის მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი. თავის დროზე მეც მჭერია ოვალური ბურთი ხელში და როცა ლიგა ვნახე, მაშინვე გადავწყვიტე, საქართველოშიც დანერგილიყო. აქ მას ცამეტკაცასაც ეძახიან.

...პირველი გუნდის საფუძველი შექმნილია. 60-მდე კაცმა უკვე გამოთქვა ლიგაში გაწევრიანების სურვილი. პირველი გუნდის პრეზენტაცია იანვრის მეორე ნახევარში შედგება და სეზონიც ამით გაიხსნება. ახალ გუნდს ალბათ „თბილისის რაინდები“ ერქმევა. პრეზენტაციაზე მის უცხოელ მთავარ მწვრთნელსაც წარვადგენთ. უკვე დავითანხმეთ ფრანგული „ტულუზის“ ავსტრალიელი მოთამაშე-მწვრთნელი ტრენტ რობერტსონი, თუმც მისი კანდიდატურა საბოლოოდ ჯერ არ დამტკიცებულა. მანამდე კიდევ ერთ ავსტრალიელ და ერთ ბრიტანელ სპეციალისტსაც უნდა შევხვდეთ. პრეზენტაციის შემდეგ 60-კაციანი გუნდი ორკვირიან შეკრებას სავარაუდოდ დასავლეთ საქართველოში გაივლის და მათგან 20 საუკეთესო შეირჩევა, რომლებიც ორკვირიან ბრიტანულ შეკრებას მოივლიან. ერთ-ერთი იქაური პროფესიული კლუბი იორკშირის პროვინციაში მიგვიღებს. ხოლო თებერვლიდან უკვე საერთაშორისო მატჩებსაც გავმართავთ.

...პირველი მეტოქე ბრიტანეთის სამოყვარულო ნაკრები იქნება, რომელსაც თბილისში ვუმასპინძლებთ. შეგვეძლო, თავიდანვე პროფესიულ კლუბთან სპარინგით დაგვეწყო, მაგრამ გუნდი ახალია და ჯობს, თანმიმდევრულად მივყვეთ. ამავე მიზეზით ერთი წლით გადავდეთ ერთი კარგი იდეის განხორციელებაც. უელსის ფედერაციასთან შეთანხმებით, 2006 წლიდან ყოველწლიურად „გამოწვევის თასს“ გავითამაშებთ. გვინდა, თამაში მორიგეობით, თბილისსა და კარდიფში გაიმართოს დავითობა დღეს. დავითი მათი მფარველია და უელსელები ამ ტრადიციის შემოღებას სიამოვნებით დათანხმდნენ. მარტსა და აპრილში საქართველოს პირველობას ჩავატარებთ, რომლის შემდეგაც 10-22 მაისს დაგეგმილი მოსკოვის დიდი ტურნირისთვის მოვემზადებით. რუსეთის ფედერაცია ამ ტურნირზე აქედანვე ზრუნავს და უძლიერესი გუნდების შეკრებასაც აპირებს. ტელეკომპანია „სქაი ჩენელთან“ პირდაპირ რეპორტაჟებზეც კი მუშაობენ...

ივნისში ისევ შიდა საქმეებს მივხედავთ. გვინდა, ეს სახეობა არა მარტო თბილისში იყოს პოპულარული. რეგიონალური თასის გათამაშების იდეაც ამ მიზანს ემსახურება. სექტემბრიდან ახალ სეზონს დავიწყებთ. ავსტრალიის საუნივერსიტეტო ნაკრების თბილისში სტუმრობის შემდეგ საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავრებით. ორი ვარიანტი გვაქვს და საუკეთესოს შერჩევა მარტო ჩვენს სურვილზე არ იქნება დამოკიდებული. თუ მანამდე ხეირიანი გუნდის შეკვრა მოესწრო, ევროპის უძლიერეს ლიგელებთან ერთად ფედერაციის თასზე ვიბურთავებთ, თუ არადა ლიბანში, ხმელთაშუა ზღვის თასზე. ფედერაციის თასი დაახლოებით იგივეა, რაც კავშირის რაგბიში ექვსი ერის თასი. მომავალი წლის გეგმა შეიძლება კიდევ უფრო გამდიდრდეს.

...გვესმის, რომ მარტო გუნდების გაკეთებით წინ ვერ წავალთ. უცხოელი მწვრთნელების ჩამოყვანაც იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ უშუალოდ თავიანთი საქმის კეთების გარდა ერთობლივი, გამართული სისტემის ჩამოყალიბებაშიც დაგვეხმარონ. 14-19 თებერვალს ბრიტანელი და ავსტრალიელი სპეციალისტები საქართველოში სემინარებს მოაწყობენ და თავიანთ ცოდნას აქაურებს გაუზიარებენ. მწვრთნელობის მსურველებისთვის ავსტრალიიდან ჩამოტანილი კითხვარებით ტესტები დაიბეჭდება. იქნება მივლინებებიც, სავარაუდოდ ავსტრალიის რაგბის აკადემიაში.

...როცა ამხელა პროექტზეა საუბარი, პირველ რიგში იბადება შეკითხვა ფინანსების შესახებ. ამის გარეშე საქმის წამოწყებაც კი უაზრობა იქნებოდა. სატრანსფერო, სახელფასო და სხვა საკითხები აუცილებლად უმაღლეს დონეზე უნდა მოგვარდეს. უცხოეთში უკვე არაერთი პარტნიორი გვყავს, ხოლო საქართველოში მოლაპარაკებები ჯერ არ დაგვისრულებია. გვირჩევნია, ერთი ექსკლუზიური პარტნიორი მოვძებნოთ და ჩვენით სახელმწიფოც დაინტერესდეს. რაც შეეხება ჩვენი და რაგბის კავშირის ურთიერთობას, იგი დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორც მაგალითად ჩვენი და ფეხბურთის ან სხვა სახეობების ფედერაციების. ორი დამოუკიდებელი ფედერაცია ვართ, თუმც თუკი კავშირთან შევთანხმდებით, რომ რაგბის თბილისში ერთი სტადიონი სჭირდება, მზად ვართ, ჩვენი წილი გავიღოთ.“

ლიგისა და კავშირის ურთიერთთანამშრომლობაზე ყველაზე საინტერესო იყო კლუბ „უნივერსიტეტის“ მთავარ მწვრთნელ დავით კოლასონიას მოსაზრება და ბატონი დავითი კომენტარსაც არ დაგვზარდა.

„საწყის ეტაპზე ჯობია, რაგბის კავშირი და ლიგა მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან. ხომ შეიძლება, 15-კაცას მოთამაშემ 13-კაცაში იპოვოს თავისი თავი. ამიტომ კლუბის მორაგბეები თავად გადაწყვეტენ, სად უჯობთ. ჩემს გუნდში უკვე პირველი ვარჯიშებიც ჩავატარე და ალბათ ორ გუნდს გავაკეთებ. ერთს ლიგისთვის, მეორეს კავშირის რაგბისთვის. მწვრთნელებსაც ვესაუბრე და დაახლოებით ორ მესამედს სურვილიც აქვს, ლიგაშიც იმუშაოს. კარგი იქნება, თუ კალენდარზეც წინასწარ შევთანხმდებით. ლიგის ხიბლი კონტაქტური და მობილური თამაშია. დარწმუნებული ვარ, მისი პოპულარიზაცია არ გაჭირდება, მაგრამ, როგორც ყველა ქვეყანაში, მისი და კავშირის რაგბის ურთიერთობა მეგობრული უნდა იყოს.“

**ოთარ მაღლაკელიძე**



# გააპრიალეთ ყვანჯები

## ლოკაუტს წყალი შეუდგა




გერი ბეტმენი და ბობ გუდენაუ ალბათ მალე მორიგდებიან

ხვალ-ზეგ, წესით და რიგით, ნჰლ-ის ბედი უნდა გადაწყდეს. ჯერჯერობით არ გვსურს, მოვლენებს წინ გავუსწროთ, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს ისეთი პირი გამოუჩნდა, ყველაფერი სასიკეთოდ უნდა დასრულდეს. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც ბოლო დღეებში მოხდა, ამაზე მეტყველებს. ჯერ ერთი, გასულ კვირას ნიუ იორკის ერთ-ერთ რესტორანში ერთმანეთს ნჰლ-ს კომისიონერი გერი ბეტმენი და ნჰლპა-ს ბოსი ბობ გუდენაუ შეხვდნენ. სამთვიანი შუღლის და ერთმანეთის დადანაშაულების შემდეგ უკვე ეს ფაქტიც ფრიად მნიშვნელობას იძენს.

მართალია, შეხვედრის შემდეგ მთავარ გმირებს კონკრეტული არაფერი უთქვამთ, მაგრამ ცნობილია, რომ ბეტმენმა და გუდენაუმ სწორედ იმაზე ისაუბრეს, რაც ყველას აღარდებს და აღელვებს, ანუ ახალი კოლექტიური შეთანხმების ახალ პროექტებზე. არც ისაა საიდუმლო, რომ პროექტი სწორედ გუდენაუს გუნდმა შეიმუშავა და პროფკავშირის ერთ-ერთი აქტივისტის, „ფინიქსის“ ლიდერ შეინ დოუნის ენაწყლიანობის წყალობით მისი მთავარი დეტალები ფართო საზოგადოებისათვისაც ცნობილი გახდა.

„ვფიქრობ, ბრწყინვალე პროექტი წარმოვადგინეთ. ხელფასები შემცირდება და ზღვარიც იქნება შემოღებული. მოკლედ, დიდ დათმობებზე მივდივართ და გუნდის მფლობელებმა ეს უნდა დაგვიფასონ“ — თქვა დოუნმა სპორტულ არხ TSN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

დოუნის თქმით, ნჰლპა თანახმაა, გუნდის სახელფასო ფონდის 40 მილიონის გადაჭარბების შემთხვევაში ეგრეთ წოდებული „ფუფუნების გადასახადი“ დაწესდეს. თანაც თუ აქამდე პროფკავშირი ყოველ ერთ ზედმეტ დოლარზე 20 ცენტის გადახდას სთავაზობდა, ახლა 75 ცენტრზეც ყაბულსაა. მაგალითად, 50 მილიონ დოლარიანი ბიუჯეტის მქონე კლუბს 7,5 მილიონის „ფუფუნების გადასახადი“ დაეკისრება.

გარდა ამისა, ასოციაცია ხელფასების 10-პროცენტიან შემცირებაზეც მიდის და ახალბედებისთვის განკუთვნილი პრემიების მნიშვნელოვან დაკლებაზეც. ამას კიდევ რამდენიმე ნაკლებად პრინციპული დათმობა ემატება. მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი პროექტი უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, მით უმეტეს იმ ლანძღვა-გინების ფონზე, რაც აქამდე ხდებოდა.

ახლა ბოლო სიტყვა ბეტმენზეა. ის კი ჯერჯერობით ამბობს, რომ მისთვის დროის ფაქტორი არაა გადამწყვეტი და მთავარია, ხარისხიანი სისტემა შემუშავდეს. მაგრამ იმედია, ბეტმენი იმასაც შეიგრძნობს, რომ შესაძლოა, მეორე ასეთი შანსი აღარც შესთავაზონ და ჯიუტობას არავინ აპატიებს.

დღეს ბეტმენი, გუდენაუ და მათი უახლოესი თანამოაზრეები მოლაპარაკებას იწყებენ, ხოლო 9 და 10 დეკემბერს უფრო გაფართოებული შეხვედრა გაიმართება, სადაც პროექტი ზედმიწევნით დაწვრილებით განიხილება. თუ ბეტმენი და გუდენაუ მას ხელს მოაწერენ, ლოკაუტი დასრულდება.

**სამველ ღარიბიანი**

# ჩემპიონთა ლიგა

## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**არსენალი 5:1 რუსენბორგი**

1:0 რეიესი (3), 2:0 ანრი (24), 3:0 ფაბრეგასი (29), 3:1 ჰოფტუნი (38), 4:1 პირესი (41პ), 5:1 ვან პერსი (84)

არსენალი: ალმუნია, ჰოიტი, ტურე, კემპბელი, ე. კოული (ვან პერსი 75), პირესი (ოვუსუ-აბეი 88), ფაბრეგასი, ფლამინი, რეიესი, ანრი, ბერხკამპი (კლიში 72)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

რუსენბორგი: ე. იონსენი, ჰოფტუნი, სოლი, ტ. ჰანსენი, სტენსაასი, ვინსნესი (ო. ოლსენი 89), სტრანდი (ჯორჯი 62), ფ. იონსენი, ბრატბაკი, ჰელსტადი, ბრაატენი

მწვრთნელი: პერ-იოარ ჰანსენი

გაფრთხილება: ე. იონსენი (51), ფლამინი (62)

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

35 421 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 4:1 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 პაპადოპულოსი (30), 1:1 ბესლი (38), 2:1, 3:1 მიუნხი (45პ, 57), 3:1 სანმარტიანი (81)

*ვან ბომელმა ვერ გაიტანა პენალტი (68, მეკარე)*

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, ვინტრა, კირიაკოსი, მორისი, მიუნხი, ბასინასი, ს. მარიჩი (მიტუ 85), ე. გონსალესი (გუმასი 79), პ. კონსტანტინიდისი, პაპადოპულოსი, ოლისადებე (სანმარტიანი 72)

მწვრთნელი: ზდენეკ შჩასნი

პსვ ეინდჰოვენი: გომესი, ჩ. ფეპერი (ვონლანტენი 64), ალექსი (ლამეი 76), ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, კოკუ, ფოგელი, პარკი, ფარფანი, ბესლი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: გომესი (45), მარიჩი (59), ალექსი (67), გალინოვიჩი (68), ვან ბომელი (90)

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

10 196 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 2 | 4 | 0 | 11:6 | 10 |
| პსვ ეინდჰოვენი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | 10 |
| *პანათინაიკოსი* | 6 | 2 | 3 | 1 | 11:8 | 9 |
| რუსენბორგი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:13 | 2 |

*„არსენალი" და „პსვ ეინდჰოვენი" გავიდნენ მერვედფინალში, „პანათინაიკოსი" უეფას თასზე*

### F ჯგუფი

**სელტიკი 0:0 მილანი**

სელტიკი: ჰედმანი, ბალდე, ვალგაერენი (ა. კამარა 5), ვარგა, მაკნამარა, ს. პეტროვი (ჟუნინიო პაულისტა 77), ა. ტომპსონი, ლენონი, სატონი, ჰარტსონი, მაკგიდი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

მილანი: დიდა, კოლოჩინი, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, დორასო (კაკა 86), ამბროზინი, ბროკი, სერჟინიო, რუი კოშტა (ზეედორფი 80), შევჩენკო (კრესპო 63)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ლენონი (37), კამარა (71), ბროკი (75)

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

59 228 მაყურებელი

**შახტარი 2:0 ბარსელონა**

1:0, 2:0 აგაჰოვა (14, 21)

*ინიესტამ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)*

შახტარი: ლაშტუვკა, ბარკაუანი, ჰუბშმანი, სტოიკანი (ჩიგრინსკი 89), სრნა (ლალატოვიჩი 82), დულიაი, ლევანდოვსკი, მატუზალემი, ვუკიჩი, ბრანდაო (ვორობეი 46), აგაჰოვა

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი (მარკესი 57), პუიოლი (ოლეგერი 46), ვან ბრონკჰორსტი, სილვინიო, ფ. ნავარო, ხავი, ინიესტა, მესი, ვერდიუ, ფრანსისკო (როდრი 46)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: მატუზალემი (55), დულიაი (63)

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

25 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| ბარსელონა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| *შახტარი* | 6 | 2 | 0 | 1 | 5:9 | 6 |
| სელტიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |

*„მილანი" და „ბარსელონა" გავიდნენ მერვედფინალში, „შახტარი" უეფას თასზე*

### G ჯგუფი

**ინტერი 3:0 ანდერლეხტი**

1:0 კრუზი (33), 2:0, 3:0 მარტინსი (60, 63)

ინტერი: კარინი, ზე მარია, ბურდისო, მატერაცი, პასკუალე, კარაგუნისი, კ. ძანეტი (ემრე 59), დავიდსი, რეკობა, ხ. კრუზი, ო. მარტინსი (დელაფიორე 70)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ანდერლეხტი: ვან შტეენბერგი, ჟევლაკოვი, კომპანი, ლ. ტრაორე, დეშახტი (ვანდენ ბორე 31), ბ. ჰასი (გერკი 81), ვანდერეგე, ვილჰელმსონი (ლოვრე 75), ბასეჯიო, დინდანე, ლეგარი

მწვრთნელი: უგო ბროოსი

გაფრთხილება: ჰასი (34)

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

21 849 მაყურებელი

**ვალენსია 0:2 ვერდერი**

0:1, 0:2 ვალდესი (83, 90)

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, დ. ნავარო, მორეტი, ანგულო, ბარახა, მარჩენა, ხისკო (ვისენტე 61), აიმარი (დი ვაიო 61), მისტა (კორადი 61)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ვერდერი: რაინკე, პასანენი, ბაუმანი, ისმაელი, სტალტერი, დ. იენსენი (მანინი 44), ერნსტი, მიკუ, ბოროვსკი, კლოზე (კლასნიჩი 90), ხარისტიასი (ნ. ვალდესი 81)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ბაუმანი (11), მარჩენა (17), ერნსტი (48), კანისარესი (83), კორადი (84), ნავარო (89), ვისენტე (90), ბოროვსკი (90), ისმაელი (90)

გაძევება: ანგულო (90)

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

42 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:3 | 14 |
| ვერდერი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| *ვალენსია* | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ანდერლეხტი | 6 | 0 | 0 | 6 | 4:17 | 0 |

*„ინტერი" და „ვერდერი" გავიდნენ მერვედფინალში, „ვალენსია" უეფას თასზე*

### H ჯგუფი

**პორტუ 2:1 ჩელსი**

0:1 დაფი (34), 1:1 დიეგო (61), 2:1 მაკკარტი (86)

პორტუ: ნუნუ, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, არეიაში, პ. ემანუელი, მანიშე, კოშტინია, დიეგო (პეიშოტო 78), ლუის ფაბიანო (პოსტიგა 75), დერლეი სილვა (კვარესმა 60), მაკკარტი

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, გალასი, სმერტინი (ტიაგუ 66), ლამპარდი, დაფი (რობენი 76), პარკერი, დროგბა (კეჟმანი 78)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხთილება: ჟორჟე კოშტა (14), სმერტინი (38), დიეგო (61), ტიაგუ (74)

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

42 409 მაყურებელი

**პსჟ 1:3 ცსკა**

0:1 სემაკი (28), 1:1 პანკრატი (37), 1:2, 1:3 სემაკი (63, 70)

პსჟ: ლეტიზი, პიშო (ლიუბოია 73), პიერ-ფანფანი, იეპესი, არმანი, კორიდონი (ბოშკოვიჩი 62), ჩანა, მბამი (მენდი 7), ე. სისე, პანკრატი, პაულეტა

მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, რ. გუსევი, ალდონინი (ვ. ბერეზუცკი 58), რახიმიჩი, ჟირკოვი, იაროშიკი (ლაიზანსი 90), სემაკი, ვაგნერი

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

გაფრთხილება: შემბერასი (62), შემბერასი (54), პიერ-ფანფანი (59), მენდი (80), მენდი (90), ჟირკოვი (90)

გაძევება: შემბერასი (54), მენდი (90)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

55 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| პორტუ | 6 | 2 | 2 | 2 | 4:6 | 8 |
| *ცსკა* | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| პსჟ | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |

*„ჩელსი" და „პორტუ" გავიდნენ მერვედფინალში, ცსკა უეფას თასზე*

# რუსული არმია ჩამოაქვეითეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუში ანგარიში 34-ე წუთზე „ჩელსიმ", კერძოდ, დემიენ დაფმა გახსნა, „პორტუმ" 61-ზე დიეგოს წყალობით გაათანაბრა და ბოლოს, 86-ე წუთზე, ანუ პარიზში არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდის მოახლოებულ ზეიმამდე ოთხი წუთით ადრე ბენი მაკკარტიმ ზეიმს ქალაქი შეუცვალა.

აღსანიშნავია, რომ მოსკოველებმა „პარი სენ ჟერმენთან" შეხვედრაში იმითაც მიიპყრეს ყურადღება, რომ მეორე ნახევრის მე-9 წუთიდან უმცირესობაში დარჩენილებმა (მეორე ყვითელი ბარათისთვის მცველი დეივიდას შემბერასი გააძევეს მოედნიდან) გული არ გაიტეხეს და ნაკლები ფეხბურთელით მეტი შედეგიანობა გამოავლინეს — ორი გოლი შეაგდეს, მანამდე 1:1 იყო. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გაგრძელების უფლება თასის მფლობელ „პორტუს", პოპულარულ ქართულ სიმღერაში შემჩნეული პრინციპის, ვინც დალია ისევ იმან დალიოს პრინციპით დარჩა, ხოლო ცსკა უეფას თასზე გადადის.

ასეთი იყო **H** ჯგუფის ისტორია. **G** ჯგუფში კი „ვალენსიას" ძალიან უნდოდა შინ ბრემენის „ვერდერის" დამარცხება, მაგრამ თავად დამარცხდა 0:2. ორივე გოლი თავიდან სათადარიგო ნელსონ ვალდესმა გაიტანა და თუ წუთებს ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ მანაც ტრილერის კანონებს უერთგულა. ვალდესის გოლები 83-ე და 92-ე წუთებზე გავიდა ანუ სწორედ იმ დროს, მთელ „მესტალიას" ჯერ კიდევ ბურთის სულ სხვა კარში შევარდნის იმედი რომ ჰქონდა. ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი შოკი, ცივი წყლის გადასხმა, რის შედეგადაც გერმანელები მილანის „ინტერთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გავიდნენ, ვალენსიელები კი უეფას თასზე დაბრუნდნენ. რატომ დაბრუნდნენ? იმიტომ, რომ უეფას თასის ბოლო მფლობელი სწორედ „ვალენსიაა". ასე რომ, იმ უეფას თასითაც, შესაძლოა, ვინც დალია, ისევ იმან დალიოს... თუმცა მანამდე ჯერ ძალიან შორია. ხოლო ზევით „ინტერი" რომ ვახსენეთ, „ანდერლეხტს" მოუგო 3:0.

**F** ჯგუფში, გლაზგოში „სელტიკმა" და „მილანმა" 0:0 ითამაშეს. მომენტები იყო: მე-18 წუთზე მილანელ ბრაზილიელს, სერჟინიოს შეეძლო გოლის გატანა — ბურთი ძელს მოხვდა, შემდეგ კიდევ ერთმა მილანელმა ბრაზილიელმა, ოღონდ ამჯერად მეკარე დიდამ ორჯერ იხსნა კარი ჯონ ჰართსონისა და კრის სატონის დარტყმებისგან. მეორე ტაიმში კი „მილანს" გაახსენდა, რომ იტალიური გუნდია და დაცვაში ისე ჩადგა, რომ საბრალო „სელტიკს" ერთადერთი მომენტი ჰქონდა და ისიც სადღაც შორიდან.

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში დონეცკის „შახტარმა" არც მეტი, არც ნაკლები, „ბარსელონას", ოღონდ შემადგენლობით სუსტს მოუგო 2:0. ორივე გოლი ნიგერიელმა ჯულიუს აგაჰოვამ გაიტანა, ხოლო კატალონიელებს ყურიც არ შეუბერტყავთ. ამრიგად, „მილანი" და „ბარსა" ლიგაში, „შახტარს" კი უეფას თასზე გადასვლა და იუშჩენ-კო!

და **E** ჯგუფი, სადაც „არსენალმა" ფიგურული სრიალის მაგვარი ფეხბურთით ნორვეგიულ „რუსენბორგს" 5:1 მოუგო. ათენში „პანათინაიკოსმა" „პსვ ეინდჰოვენი" 4:1 დაამარცხა. აი, 5:2 რომ ყოფილიყო, რამე შეიძლება გვეფიქრა, მაგრამ ასე რა გინდა თქვა.

**კაკუნა კედია**



REUTERS

„ვალენსია" — „ვერდერი". ნელსონ ვალდესმა სანტიაგო კანისარესს ისე გაუტანა, ბურთი შორიდან დაანახა

## ინგლისი

**ჩემპიონატი**
**გადადებული მატჩი**

ვულვერჰემპტონი 1:2 მილუოლი

**I ლიგა. XX ტური**

დონსი 1:1 პიტერბრო
დონკასტერი 1:1 ბრისტოლი
კოლჩესტერი 0:2 ბარნსლი
ბორნმუთი 2:0 ბრედფორდი
ბრენტფორდი 2:0 ლუტონი
ბლეკპული 4:0 ტორკი
პორტ ვეილი 3:1 ტრანმერი
ოლდემი 4:1 ჩესტერფილდი
რედსემი 2:1 სტოკპორტი
უოლსოლი 2:1 ჰარტლპული

**II ლიგა. XX ტური**

შრიუსბერი 0:2 როჩდეილი
იოვილი 2:1 კიდერმინსტერი
ნორთჰემპტონი 1:1 ჩელტენემი
დარლინგტონი 2:1 მენსფილდი
გრიმსბი 3:2 ნოტსი
ლეიტონი 2:2 საუთენდი
მაკლსფილდი 2:1 ლინკოლნი
როვერსი 4:1 ჩესტერი
ბერი 2:2 უიკომბი
კემბრიჯი 1:2 სკანთორპი

**კონფერენს ლიგა. XX ტური**

ჰერეფორდი 2:1 ფორესტ გრინი
იორკი 1:1 ჰალიფაქსი
ლეი 1:1 სკარბორო
სტივენეიჯი 0:2 უოკინგი
ბარტონი 1:3 მორეკემბი
გრეივსენდი 2:2 ფარნბორო
დაგენემი 2:3 ექსეტერი
ალდერშოტი 2:0 ქონვი
აკრინგტონი 1:2 კარლაილი
ქროული 1:3 ბარნეტი

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩები**

იურდინგენი 1:0 ზანქტ პაული
დორტმუნდი (მ) 0:2 ბრაუნშვაიგი
ვუპერტალი 0:2 ოსნაბრიუკი

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა. XXI ტური**

მატერსბურგი 2:1 აუსტრია

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge